ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

შაბათი – კვირა, 19 – 20 ნოემბერი, 2016 №275 (7200) ფასი: 50 თეთრი

## გადატვირთულ მიკროავტობუსში ასვლისგან თავი შეიკავეთ!

გვ. 6



# „ახალმა პარლამენტმა სახელმწიფო ჰიმნი დაიკიდა“




გვ.2

პარლამენტის პირველი სხდომისგან ერი დიდ სკანდალს ელოდა. იყო ინფორმაცია, რომ ნაციონალები სხდომაზე არ შევიდოდნენ. მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ არაერთხელ განაცხადა, რომ ისინი „ოცნებას" ჯოჯოხეთს მოუწყობდნენ.

## სალომე ზურაბიშვილი: „პრეზიდენტი პარლამენტს თითს უქნევს“

ქვეყნის პრიორიტეტად რჩება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება, დეოკუპაცია, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაღრმავება და ამ საკითხების გლობალური პოლიტიკის კონტექსტში წარმოჩენა.



გვ.2



პრეზიდენტის გამოსვლა კარგი იყო. მან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. თუმცა, რაც შეეხება მედიის თავისუფლებას, არა მგონია, ამ მხრივ პრობლემა იყოს. ეს ზოგადად მოძველებული საკითხია.

## „ირაკლი კობახიძეს უმრავლესობის მართვა გაუჭირდება“

გვ.4



## მრეწველების ერთმა დეპუტატმა პარლამენტში ფრაქცია შექმნა

გვ.3



## „ივანიშვილს ბოკერიას ყიდვა არაფერში სჭირდებოდა“

გვ.3




შალვა ხაჭაპურიძე: „ადამიანის უფლებებიც უნდა დაიცვა და ლიბერალიც უნდა იყო, მაგრამ ეს აგრესიული ფორმით არ უნდა გააკეთო“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

გვ.4




## რა ნორმის გაუქმებას ითხოვს „პატრიოტთა ალიანსი“

ცესკოს აუცილებლად უნდა ეხელმძღვანელა კონსტიტუციით. ცესკომ იხელმძღვანელა მხოლოდ საარჩევნო კოდექსით და მივიღეთ მანდატების უსამართლო განაწილება.

## ექსპერტები ნატოში ახალი წევრების მიღების პროცესის შეჩერებას პროგნოზირებენ

NATO OTAN

ამერიკელი რესპუბლიკელები უკრაინას ლობირებენ

ტრამპის ხედვები ჯერ გაურკვეველია

გვ.5

# სალომე ზურაბიშვილი: „პრეზიდენტი პარლამენტს თითს უქნევს“

შორენა მარსაგიშვილი

**პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, სავარაუდოდ, არც მე-9 მოწვევის პარლამენტთან ექნება კარგი ურთიერთობა. მისმა გამოსვლამ რამდენიმე კანონმდებელი სერიოზულად გააღიზიანა. არადა მარგველაშვილს ისეთი არაფერი უთქვამს.**

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ქვეყნის პრიორიტეტად რჩება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება, დეოკუპაცია, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაღრმავება და ამ საკითხების გლობალური პოლიტიკის კონტექსტში წარმოჩენა.

— ამ მიზნით სამსახურში მყოფ ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს ზურგს უნდა უმაგრებდეს პარლამენტის, როგორც ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი უმაღლესი ორგანოს, მკვეთრი პოზიცია. მოგიწოდებთ ამ მიმართულებით აქტიურობისკენ და მზად ვარ აქტიურად ჩავერთო ამ დისკუსიებში, — აღ-



ნიშნა პრეზიდენტმა.

ის ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგიის შემუშავების ინიციატივით გამოვიდა.

— ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების პასუხად, მიმაჩნია, რომ უნდა განახლდეს ქვეყნის უშიშროების პოლიტიკის განმსაზღვრელი ეროვნული და უწყებრივი სტრატეგიული დოკუმენტები და მათზე დაყრდნობით, სამოქალაქო საზოგადოების, ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩართულობით, შემუშავდეს ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგია, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე აზრით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით მმართველმა გუნდმა ოპოზიციურ პარტიებთან დიალოგი უნდა განაახლოს.

— ოკუპაციისა და ანექსიის ფონზე, გასულ წელს პოლიტიკურ სპექტრსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ერთიანი პოზიციის შესამუშავებლად, დიალოგის დაწყება შევთავაზე. კონსულტაციებში მონაწილეობა ყველა პოლიტიკურმა ძალამ მიიღო, მმართველი კოალიციის გარდა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ჩემთვის გაუგებარი იყო.

გთავაზობთ, განვაახლოთ ფართომასშტაბიანი დიალოგი, რაც უნდა გახდეს წინაპირობა ერთიანი სახელმწიფო ხედვის ჩამოსაყალიბებლად და ამ ხედვის გარშემო საზოგადოების კონსოლიდაციისთვის, — განაცხადა პრეზიდენტმა.

თავის გამოსვლაში გიორგი მარგველაშვილმა პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულებზეც ისაუბრა. პრეზიდენტი მზადაა, სარეზერვო ფონდიდან დააფინანსოს პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულთა საადვოკატო მომსახურება.

ამის გარდა, პრეზიდენტი სთავაზობს პარლამენტს, განიხილოს წინადადება, რომ სახელმწიფომ ეს ადამიანები საჭიროების შემთხვევაში, ჯანდაცვის სპეციალური პაკეტებით უზრუნველყოს.

მარგველაშვილის განცხადებით, ამ ადამიანების უფლებების აღდგენა ერთი მხრივ სამართლიანობის საკითხია, ხოლო მეორე მხრივ რეალური წინაპირობაა შერიგებული, უფრო სტაბილური საზოგადოების შესაქმნელად.

მისი თქმით, გამოჩნდა ისიც, რომ პოლიტიკოსებს ხშირ შემთხვევაში ამ პიროვნული ტრაგედიების არა გადაწყვეტა, არამედ მუდმივი პედალირება უფრო ხელს აძლევთ.

— ამ ადამიანების ციხიდან გათავისუფლების შემდეგ საკმარისი დრო გავიდა, თუმცა, დღემდე მათი უმრავლესობა უმუშევარია, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, იმყოფება მძიმე მატერიალურ პირობებში და კვლავაც რჩება ნასამართლევი. ეს საკითხი მე შარშან, ყოველწლიურ მოხსენებაშიც წამოვწიე. შედეგად პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ამ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, გააგრძელონ ბრძოლა საკუთარი უფლებების აღსადგენად სასამართლო ინსტანციებში, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

* * *

„ქართული ოცნების“ დეპუტაცია გიორგი მარგველაშვილის გამოსვლის დეტალების ჩაზუსტებას მოერიდა. მათი სათქმელი მათ მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა დეპუტატმა სალომე ზურაბიშვილმა თქვა

ის პრეზიდენტის ტონით გაოგნებულია და მიიჩნევს, რომ მარგველაშვილს პარლამენტთან თანამშრომლობა არ სურს.

— 18 ნოემბრის დილით მქონდა განწყობა, რომ სკოლაში შევდიოდი. ეს განწყობა გაამძაფრა პრეზიდენტმა, რომელიც დირექტორივით გველაპარაკება და თითს გვიქნევს, — აღნიშნა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, საერთო ჯამში, გიორგი მარგველაშვილის გამოსვლა კარგი იყო. რაც შეეხება მედიის თავი-



სუფლების საკითხს, სალომე ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს.

— პრეზიდენტის გამოსვლა კარგი იყო. მან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. თუმცა, რაც შეეხება მედიის თავისუფლებას, არა მგონია, ამ მხრივ პრობლემა იყოს. ეს ზოგადად მოძველებული საკითხია. ძალიან სამწუხაროა, რომ პრეზიდენტმა საერთოდ არ ისაუბრა ემიგრანტებზე, რომლებიც მილიონზე მეტია და საზღვარგარეთ ცხოვრობენ, — განაცხადა ჟურნალისტებთან სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

სალომე ზურაბიშვილის მიერ დაგმობილმა პრეზიდენტმა სხდომის გახსნის შემდეგ პრემიერთან და პარლამენტის ახლად არჩეულ სპიკერთან მოისურვა შეხვედრა.

სამთა თათბირზე პრეზიდენტმა ირაკლი კობახიძეს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა მიულოცა, პარლამენტს კი ნაყოფიერი მუშაობა უსურვა.

შეხვედრა პრეზიდენტის ინიციატივით გაიმართა. მასზე ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობასა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

# ახალმა პარლამენტმა სახელმწიფო ჰიმნი დაიკიდა“

შორენა მარსაგიშვილი

**საკონსტიტუციო უმრავლესობით გაძეძგილმა პარლამენტმა მუშაობა ორიგინალურად დაიწყო. მე-9 მოწვევის პარლამენტმა სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის ორიგინალური წესი დაამკვიდრა.**

როგორც წესი, სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის დროს ფეხზე დგებიან და გულზე ხელს იდებენ. ჩვენი კანონმდებლებიდან ასე ჰიმნს მხოლოდ რამდენიმე დეპუტატმა მოუსმინა. ერთ-ერთი მათგანი უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე იყო. დანარჩენები კი ისე იყვნენ ჩამწკრივებული, თითქოს საჯარიმოს კედელთან მდგარი ფეხბურთელები იყვნენ, რომლებიც ჯარიმის დარტყმის მოლოდინში არიან.

გასაგებია, რომ ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში გადაჭარბებულად მოხვდნენ ფეხბურთელები, რაგბისტები და მოჭიდავეები, მაგრამ სწორედ მათ ყველაზე მეტად აქვთ გამძაფრებული ჰიმნის მიმართ პატივისცემა. ეტყობა, პარლამენტმა ეს პატიოსანი ხალხიც გადარია.

ჰიმნის მსმენელი დეპუტატების ფოტოებს სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

— ახალმა პარლამენტმა სახელმწიფო ჰიმნი დაიკიდა, — წერდნენ აღშფოთებული ამომრჩევლები.

პარლამენტის პირველი სხდომისგან ერი დიდ სკანდალს ელოდა. იყო ინფორმაცია, რომ ნაციონალები სხდომაზე არ შევიდოდნენ. მათმა ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ არაერთხელ განაცხადა, რომ ისინი „ოცნებას“ ჯოჯოხეთს მოუწყობდნენ.

ამდენად, განსაკუთრებული ყურადღება მის მიმართ იყო მიქცეული. კაპანაძეს მსგავსი არაფერი მოუწყვია, მედ გამოირჩეოდით განსაკუთრებული აგრესიით და ხშირად სიძულვილით. როგორც პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე, როგორ წარმოგიდგენიათ ოპოზიციასთან ურთიერთობა? — ჩაეკითხა ტუღუში კობახიძეს.




ეტყობა, პირველი სხდომის მოერიდა. მორიდებული ნაციონალი ვიცე-სპიკერის პოსტზე იყო წარდგენილი. „ოცნებამ“ მისი კანდიდატურა უპრობლემოდ დაამტკიცა.

ჯოჯოხეთის მოწყობა არც სხვა ნაციონალებს გამოუვიდათ. ისინი მხოლოდ სიტყვიერ დაპირისპირებაში შევიდნენ ახლად არჩეულ სპიკერ ირაკლი კობახიძესთან.

ყოფილმა სახალხო დამცველმა და ამჟამად ნაციონალმა გიორგი ტუღუშმა კობახიძეს ახლო წარსული და განსაკუთრებული აგრესია გაუხსენა.

— წინასაარჩევნო პერიოდში თქვენ იყავით ჩვენი პარტიის არა მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტი, არა-

სპიკერზე მიიტანა იერიში ნიკა მელიამაც. მან ირაკლი კობახიძეს „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი დეფექტი უწოდა.

მელიას თქმით, ირაკლი კობახიძე გამოირჩეოდა ყველაზე დიდი აგრესიულობით, ცდილობდა ურცხვად ყველა ოპონენტზე უზნეო და ამორალური იარლიყების მიკერებას. ის იყო საზოგადოების არა შერიგების, არამედ დაშორების აგრესიული რუპორი.

— ეს ადამიანი უნდა აირჩიოთ იმ ორგანოს თავმჯდომარედ, სადაც საპირისპირო უნდა ხდებოდეს. აქ უნდა ხდებოდეს აზრების გაცვლა-გამოცვლა, შეხედულებების გაცვლა-გამოცვლა. საქმე იმაში კი არ არის, რომ ბატონი კობახიძე უაღრესად გამოუცდელი ადამიანია, საქმე იმაში კი არ არის, რომ ბატონი კობახიძე ნულოვანი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოს პოლიტიკურ წრეებსა და საერთაშორისო ასპარეზზე.

საქმე იმაში კი არ არის, რომ საარაკო ტყუილებზე ბოდიშს არ მოიხდის, საქმე იმაშია, რომ ყველა სახელმწიფო ინსტიტუცია და ხელმძღვანელი არის ფიქციად წოდებული და სამწუხაროდ, ამ გაგრძელებას ექნება ადგილი პარლამენტის ამ დარბაზებში. ჩემი რეკომენდაცია იქნება, რომ როდესაც გადახედავთ ერთმანეთს და დაინახავთ, რომ თქვენ ხართ ბევრი, არ დაიჯეროთ, რომ თქვენ ამდენივე ხართ გარეთ. არ დაივიწყოთ ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარმაც კი არ დაგიჭირათ მხარი, — განაცხადა მელიამ.

კობახიძე პირობას დებს, რომ კარგი სპიკერი იქნება და ოპოზიციასთანაც ნორმალური ურთიერთობა ექნება. ამასთან, სულაც არ ნანობს იმ ლექსიკას, რაც არჩევნების წინ ნაციონალების მიმართ გამოიყენა. ამბობს, რომ მზადაა ყველა სიტყვაზე აგოს პასუხი.

მისი თქმით, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით გაკეთებულ ყველაზე კომენტარზე პასუხისმგებლობას იღებს.

— სახელმწიფო გადატრიალებასთან დაკავშირებულ ყველა ჩემს განცხადებაზე, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში კეთდებოდა, პასუხისმგებლობას ვიღებ. მე დღეს ძალიან მიხარია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა დიდი ნაწილიც კი უკვე ფაქტობრივად ემიჯნება იმ გეგმას, რომლის ჩაშლაზეც ასე დანანებით საუბრობს თქვენი ყოფილი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი. თითოეულ განცხადებაზე, რომელიც იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან, ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ. ეს იყო ფაქტი, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია და ამ ინფორმაციის წყაროებიც დავაკონკრეტეთ. სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია იგივე გავიმეოროთ, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

დებატების შემდეგ ის უპრობლემოდ აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარედ. ის კოლეგებს არჩევისთვის მადლობას უხდის, ერს კი ჰპირდება, მთელ ენერგიას თქვენ მოგახმართო.

ეტყობა, ნაციონალებისგან ჯოჯოხეთის მოწყობას ისიც ელოდა, რადგანაც თავის გამოსვლაში ეს ამბავი მოისაკლისა.

— ეს დებატები შორს იყო ჯოჯოხეთისგან, თუმცა მაინც იგრძნობოდა ამ დებატებში პოსტსაარჩევნო გარემოს სპეციფიკა. მე ვისურვებდი 4 წლის თავზე ნაკლებ რადიკალიზმს და მეტ სიმართლეს საქართველოს პარლამენტში. კიდევ ერთხელ მინდა დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა პარლამენტის თითოეულ წევრს, იმ წევრებს, რომლებიც დღეს იყვნენ აგრესიულები და რომლებიც არ იყვნენ აგრესიულები. იმ წევრებს, რომლებიც დღეს იყვნენ კონსტრუქციულები და არ იყვნენ კონსტრუქციულები, რომლებიც საუბრობდნენ სიძულვილის ენაზე და არ საუბრობდნენ სიძულვილის ენაზე, იმ წევრებს, რომლებმაც თქვეს სიმართლე და რომლებმაც არ თქვეს სიმართლე.

კიდევ ერთხელ მინდა, ზოგადად დაგიდასტუროთ ჩემი მზადყოფნა, რომ არ დავიშურებ ძალას იმისათვის, რათა ხელი შევუწყო საქართველოში პარლამენტარიზმის ტრადიციების შემდგომ განვითარებას და უზრუნველვყო ის, რომ თითოეულ თქვენგანს ჰქონდეს საპარლამენტო მუშაობაში საკუთარი თავის სათანადოდ გამოვლენის შესაძლებლობა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილს ბოკერიას ყიდვა არაფერში სჭირდებოდა“

## შალვა ხაჭაპურიძე: „ადამიანის უფლებებიც უნდა დაიცვა და ლიბერალიც უნდა იყო, მაგრამ ეს აგრესიული ფორმით არ უნდა გააკეთო“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.**

***— ბატონო შალვა, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ გამორიცხავს, რომ პოროშენკომ მას მოქალაქეობა ჩამოართვას. ასეთ შემთხვევაში რა საფრთხეები ემუქრება მიხეილ სააკაშვილს, დადგება მისი პასუხისგებაში მიცემის საკითხი?***

— ეს კაცი უკრაინაში გაკოტრდა. ის აღარ არის პოლიტიკური ფიგურა. მთელი მისი რესურსი ამოწურულია. ის მთელი რიგი მაქინაციებით შეეცადა, საქართველოში დაბრუნებულიყო, რაც არ გამოუვიდა და ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ არ გამოუვიდოდა. სააკაშვილი იმ ტიპის პიროვნებაა, რომ საქმე გამოსდის მხოლოდ მაშინ, როცა ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს და ამაში ხელის შემშლელი არავინ ჰყავს.

***— ეს უკრაინაში არ გამოუვიდოდა?***

— ასეთი ტიპის პოლიტიკოსი, უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, თავიდანვე ნათელი იყო, რომ გაკოტრდებოდა. მას ერთპიროვნულად ქვეყნის მართვის უფლებას არც ხელისუფლება მიცემდა, არც თანამდებობრივად შეეძლო ეს და არც ოდესელები არიან ასე მარტივად და რბილად სამართავები. შედეგი სახეზეა. უფრო უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო.

***— რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ სააკაშვილისთვის ეს უფრო ცუდად დამთავრებულიყო. მან მოასწრო და გადადგა. ის, რასაც ახლა აკეთებს, ვითომ პოლიტიკური პარტიის შექმნა და ასე შემდეგ, ესაჭიროება თავდაცვის მიზნით. უკვე ორი დღეა აცხადებს, შეიძლება, მოქალაქეობა ჩამომართვანო. უახლოეს დღეებში გამოვა და ატეხს ყვირილს, რომ დევნიან და მოითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს ამერიკაში ან სხვა ისეთ ქვეყანაში, რომელიც მას შეინახავს და საქართველოს არ გადასცემს. მან თავისი ლობისტები უკვე აამუშავა, დაწყებული იქნება შუამდგომლობა ამერიკის ხელისუფლებასთან, რომ როგორმე გაასწროს და წავიდეს.

***— ნაციონალური მოძრაობის თბილისური ფრთა მიხეილ სააკაშვილის საბოლოო ჩამოშორებას ცდილობს და გიგა ბოკერია წამოვიდა წინა პლანზე.***

— გიგა ბოკერია და ნაციონალური მოძრაობა თავიდანვე სულ სხვა ძალები იყვნენ. ვარდების რევოლუციის დროს მოხდა ამ ძალების გაერთიანება. დღეს ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა, დაიმარხა, აღარ არსებობს და დარჩენილია თავისუფლების ინსტიტუტის ის დაჯგუფება, რომელიც ამ სახელს, ნაციონალურ მოძრაობას, არის ამოფარებული. მე არ გამოვრიცხავ, რომ ერთ დღეს ეს სახელი საერთოდ გადაირქვან.

***— ანუ ემიჯნებიან სააკაშვილს?***

— დღეს რომ დადგე სააკაშვილის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის გვერდით, მათთან გააიგივო თავი, გამოდის, რომ სერიოზული გიჟი ხარ. ამას მიხვდნენ ხოშტარიები, მელიები, რომ ეს დამთავრებული თამაშია.

***— ცდილობენ რებრენდინგს?***

— პირველ რიგში, თავის გადარჩენას ცდილობენ და ამის შემდეგ — რებრენდინგს, თუკი ეს გამოუვათ. ამ ძალას დასავლური იდეები, ლიბერალური იდეები გაუკუღმართებული ფორმით მოჰქონდა ჩვენამდე. დასავლეთში რაც კარგი ღირებულებებია, ის არ შემოჰქონდათ, ხოლო რაც ცუდი იყო, მაინცდამაინც ეს შემოჰქონდათ საქართველოში. თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში უთხრეს უარი, რადგან ტრამპის მოყვანა სწორედ ამას ნიშნავდა. ამ ყველაფერს ნაციონალებმა კიდევ დაამატეს მართვის ბოლშევიკური სტილი და ამ სახით შემოიტანეს. ამ მიმდევრობას მსოფლიოში პატრონი აღარ ჰყავს.

***— ეს რას ნიშნავს, დამთავრდა ლიბერალიზმი?***

— არა, ამას არ ვგულისხმობ, ადამიანის უფლებებიც უნდა დაიცვა და ლიბერალიც უნდა იყო, მაგრამ ეს არ უნდა გააკეთო აგრესიული ფორმითა და ძალადობით. ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ ნაციონალებს ერთადერთი იდეოლოგია ჰქონდათ შემორჩენილი და დღეს ესეც აღარ აქვთ.

***— სააკაშვილი ნაციონალებს ივანიშვილს მიყიდულებს უწოდებს. ეს განაწყენების ბრალია თუ რეალურად ასეა?***

— ივანიშვილს ბოკერია და ეს ჯგუფი თავისთავად ჩაუვარდა ხელში. მიყიდული ნიშნავს იმას, რომ უნდა ეყიდა და ერთი მიზეზი მაინც დამისახელოს ვინმემ, რატომ უნდა ეყიდა?! ყიდულობ იმას, რასაც ფასი აქვს. რატომ უნდა ეყიდა ეს ჯგუფი, რა ფასეულები ისინი არიან?! ეს არის სააკაშვილის ზღაპრები! რაში სჭირდება ივანიშვილს ისინი?!

***— პარლამენტში შესვლაზე დაიყოლიაო.***

— კარგით, რა. დავუშვათ და უარი ეთქვა ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში შესვლაზე, მერე რა?! ამით დაიქცეოდა ქვეყანა? აგერ არ არის პატრიოტთა ალიანსი? ისინი ხომ შედიოდნენ. თვითონ არ ისხდნენ მარტო, არ მართავდნენ ქვეყანას?! ოპოზიციამ დახია მანდატები და არ შევიდა პარლამენტში. სულ 3 ოპოზიციონერი შევიდა. გაუჭირდათ ქვეყნის მართვა? ამიტომ ბიძინა ივანიშვილს არაფერში სჭირდებოდა მათი ყიდვა, ფასი არ აქვთ, კაპიკია მაგათი ფასი! საკითხავი ის არის, როგორ მოხდა, 500 ათასი ხმა რომ მიიღეს!

***— როგორ მოხდა? რამე საეჭვოს ხედავთ ამაში?***

— ბევრია ნახევარი მილიონი ნაციონალური მოძრაობისთვის. 20 წელიწადია, პარტიები არსებობენ და 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარის პარტიამ. ძალიან ბევრი არ მივიდა ამ არჩევნებზე, ქვეყანაში პოლიტიკური ნიჰილიზმია, ხოლო ნაცების მომხრეები ყველანი დარაზმულად მივიდნენ. გამაჩნია სერიოზული ინფორმაციები, რომ მათ ამომრჩეველი მაქსიმალურად მოისყიდეს. ამომრჩეველი საქართველოში რომ იყიდება, ეს არახალია, ძველია!

# მრეწველების ერთმა დეპუტატმა პარლამენტში ფრაქცია შექმნა

შორენა მარსაგიშვილი

**მე-9 მოწვევის პარლამენტმა მუშაობა დაიწყო. მუშაობის პირველივე დღეს დეპუტატებმა 5 ფრაქცია დაარეგისტრირეს. კანონმდებლები გვპირდებიან, რომ სხვა ფრაქციები მთავრობის ფორმირების შემდეგ შეიქმნება.**

მთავრობას, რომელიც აქამდე საქვეყნო საქმეებს ლარის კურსის შესაბამისად უძღვებოდა, 18 ნოემბერს უფლებამოსილება შეუწყდა. მთავრობის განახლებულ შემადგენლობას პრემიერი 21 ნოემბერს დაასახელებს.

რაც შეეხება 21 ნოემბრამდე შექმნილ ფრაქციებს, დროებითი სამანდატო კომისიის მსჯელობის შედეგად, 18 ნოემბერს საკანონმდებლო ორგანოში 5 ფრაქცია ჩამოყალიბდა.

ასევე ოფიციალურად დარეგისტრირდა უმცირესობა და უმრავლესობა. ცესკოს მონაცემებით, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში 115 დეპუტატი გაიყვანა. პირველ სხდომაზე გაირკვა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა 116 კაცისგან შედგება. შევსება „ოცნებამ“ საარჩევნო ბლოკ „თოფაძე, მრეწველები — ჩვენი სამშობლოდან“ მიიღო. სიმონ ნოზაძე ერთადერთი ოპოზიციონერია, რომელმაც მაჟორიტარული არჩევნები მოიგო. ის ამიერიდან „ოცნებასთან“ იქნება ასოცირებული.



სხვათა შორის, ამ თემაზე მაშინვე დაიწყო საუბარი, როცა ნოზაძემ ხაშურის ოლქი მოიგო. მაშინ ეს ინფორმაცია მან კატეგორიულად უარყო.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერად, როგორც მოსალოდნელი იყო, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე არჩილ თალაკვაძე დაინიშნა.

„ქართული ოცნება“ ამ კვირაში მხოლოდ 2 ფრაქციის დარეგისტრირებით დაკმაყოფილდა.

ფრაქციაში ,,ქართული ოცნება“ გაწევრიანებულია 110 წევრი. ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე იქნება, მდივანი კი — ნინო წილოსანი.

მმართველი გუნდის წიაღში შეიქმნა ფრაქცია ,,ქართული ოცნება — მრეწველები,“ რომელშიც გაერთიანებულია პარლამენტის 6 წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე კი სიმონ ნოზაძე იქნება.

როგორც სიმონ ნოზაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, შეთავაზება მან მმართველი გუნდიდან მიიღო.

— ეს იქნება ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ სახელით. მე ამ ფრაქციას ვუხელმძღვანელებ. ძალიან გთხოვთ, ნუ მომთხოვთ იმის გაჟღერებას, ვინ შევა ფრაქციაში. ყველაფერს უახლოეს მომავალში გაიგებთ, — უთხრა „პირველს“ სიმონ ნოზაძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, „ოცნებამ“ იმიტომ შექმნა სიმონ ნოზაძის ფრაქცია, რომ ცესკოში დამატებითი ადგილის მოპოვება სურთ. ამ ინფორმაციას „ოცნებაც“ უარყოფს და ნოზაძეც.

2 ფრაქცია შექმნა საპარლამენტო უმცირესობამაც. უმცირესობა 26 კაცით დარეგისტრირდა. მისი ლიდერი დავით ბაქრაძე იქნება. მის წიაღში შექმნილ ფრაქციებს ელენე ხოშტარია და ნიკა მელია უხელმძღვანელებენ.

ნიკა მელიას ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერქმევა, რომლის შემადგენლობაში შედის პარლამენტის 20 წევრი.

6-კაციანი ფრაქცია ანდეს სამართავად ელენე ხოშტარიას. მის ფრაქციას ,,ნაციონალური მოძრაობა — საქართველოს წინსვლისთვის“ ერქმევა.

პარლამენტში ჩამოყალიბებული მეხუთე ფრაქცია 6 წევრისგან შედგება. მისი სახელწოდებაა ,,საქართველოს პატრიოტები'', ფრაქციის თავმჯდომარე კი გიორგი ლომია გახდა.

# დავით სერგეენკო: „პრეზიდენტს არ ვეთანხმები“



— ვერ დავეთანხმები პრეზიდენტს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ყველა შემთხვევაში სახიფათოა.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, რომელმაც პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა შეაფასა.

ამასთან, სერგეენკოს თქმით, კარგია, რომ პრეზიდენტმა მიღწევები ჩამოთვალა.

— რაც შეეხება მის მოსაზრებას, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ნებისმიერ შემთხვევაში სახიფათოა, ამაში ვერ დავეთანხმები.

„ქართულმა ოცნებამ“ ოთხი წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მისი ამოცანა არის არა კონსტიტუციის და კანონის თავის თავზე მორგება, არამედ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

# უკრაინამ შესაძლოა საქართველოს სააკაშვილი გადასცეს

უკრაინამ შესაძლოა საქართველოს ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი გადასცეს.



ამის შესახებ გამოცემა „უკრაინსკაია პრავდას“ წყარომ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განუცხადა.

წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა არ შეუძლიათ, ამიტომაც, როგორც ვარიანტი, განიხილება მისი საქართველოში ექსტრადირება, სადაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

„უკრაინსკაია პრავდამ“ კომენტარისთვის სააკაშვილის პრესსამსახურს მიმართა. სააკაშვილის პრესსამსახურში აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა აღნიშნეს, რომ მოგვიანებით ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# გიგა ბოკერია: „ჩვენი ამოცანაა, „ქართულმა ოცნებამ“ მინიმუმ ნაკლები ზიანი მიაყენოს ქვეყანას“



— ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში მომდევნო 4 წლის განმავლობაში აქტიური იქნება.

ამის შესახებ დეპუტატმა ნაციონალური მოძრაობიდან გიგა ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ბოკერიამ აღნიშნა, მათი საქმიანობა მიმართული იქნება იქითკენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მინიმუმ ნაკლები ზიანი მიაყენოს ქვეყანას.

— რაოდენობიდან გამომდინარე, საკმაოდ შეზღუდული ინსტრუმენტები გვაქვს იმ ძალადობრივი არჩევნების შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში. მაგრამ, ჩვენი ვალია, მით უმეტეს, ისეთ რთულ ვითარებაში ქვეყნისთვის, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა, ივანიშვილის გუნდი არა თუ მზად არ არის ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს უპასუხოს და თვითონ არის შემოქმედი ჩვენი ქვეყნის პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილის, ამ ვითარებაში ის შეზღუდული რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და გვყავდეს ისინი პოლიტიკური წნეხის ქვეშ.

ჩვენი ვალია, მინიმუმ ნაკლები ზიანი მიაყენონ ქვეყანას. ეს არის ჩვენი ამოცანა და ამისთვის ვიქნებით ჩვენ ძალიან აქტიურები, — განაცხადა ბოკერიამ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ირაკლი კობახიძეს უმრავლესობის მართვა გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალი თაობის“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარლამენტში პოლიტიკური პროცესები მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მარტივი არ იქნება.**



***— ბატონო ლევან, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ პარლამენტის განსაკუთრებული გამოწვევა იქნება საკონსტიტუციო რეფორმა. ამაზე ისაუბრა პრეზიდენტმაც, რომელმაც პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწოდა, მასთან შეიქმნას საკონსტიტუციო კომისია. როგორია თქვენი პოზიცია?***

— ჯერ კიდევ არჩევნებიდან მეორე დღეს, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, ბატონი ვოლსკის ნაჩქარევი განცხადების შემდეგ, რომელიც ეხებოდა პრეზიდენტის არჩევის წესს, ირაკლი კობახიძე გამოვიდა და განაცხადა, რომ ისინი იმსჯელებენ არა ცალკეულ საკითხებზე კონტექსტიდან ამოგლეჯილად, არამედ მთლიანად ერთიან სისტემაზე. მეორე, რაც მკვეთრად განაცხადა ირაკლი კობახიძემ, იყო ის, რომ ერთპიროვნულად არ მიიღებენ გადაწყვეტილებას და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

გარდა ამისა, გამოწვევაა კიდევ იმ თვალსაზრისით, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დანაპირებში საუბარია ახალი კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებაზე, ახალი კონსტიტუციის დაწერაზეა აქცენტი გაკეთებული და არა — ცალკეული ნორმის გადასინჯვაზე.

***— რა სირთულეები შეიძლება შეხვდეს ამ თვალსაზრისით ახალ საკონსტიტუციო კომისიას?***

— პრეზიდენტის არჩევის წესი მიბმულია ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან. ტერიტორიული მოწყობის საკითხი კი ადვილი გადასაწყვეტი არ არის. საქართველო იქნება უნიტარული თუ ფედერაციული? როგორი ფედერაცია იქნება? ვინ იქნებიან ფედერაციის სუბიექტები, მხოლოდ აფხაზეთი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თუ სამხრეთ ოსეთი და კიდევ სხვა მხარეებიც? გარდა ამ მძიმედ გადასაწყვეტი პოლიტიკური საკითხისა, წინა პლანზე წამოიწევს პარლამენტის მოწყობის საკითხიც. პარლამენტი იქნება ერთპალატიანი თუ ორპალატიანი? პრეზიდენტი იქნება პირდაპირი, საყოველთაო არჩევნებით არჩეული თუ არა? ამ საკითხზე გუნდში ახალ სახეებსაც ერთიანი პოზიცია არ აქვთ.

***— რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ ახალ სახეებზე?***

— ვინაიდან მმართველ ძალას საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კუნთები უნდა ათამაშონ. ეს არის ადგილი, სადაც დებატები, პოლიტიკური დისკუსია უნდა გაიმართოს. მე იმედი მაქვს, რომ ძველი სახეები ახალ უმრავლესობაში პროცესის მთავარი წარმმართველები არ იქნებიან და მათ გუნდში პოლიტიკოსების ახალი თაობა საქმეს სახელმწიფოებრივად მიუდგება. უკვე ვხედავთ, რომ რიტორიკა შეცვლილია არსებითად, კონკრეტულ დეტალებზე ასე ერთპიროვნულად აღარ მსჯელობენ, მაგალითად, პარლამენტის გადატანა-გადმოტანაზე, პრეზიდენტის არჩევის საკითხზე და ა.შ. ამ ახალი პოლიტიკოსების მკვეთრი წარმომადგენელია ირაკლი კობახიძე.

***— ირაკლი კობახიძე პარლამენტის როგორი თავმჯდომარე იქნება, თუნდაც დავით უსუფაშვილის შემდეგ?***

— ირაკლი კობახიძე დამწყები პოლიტიკოსია. გარდა ამისა, მას საჯარო სამსახურში არასდროს უმუშავია. ეს მისი ნაკლია. ასევე იმ საპარლამენტო პოლიტიკური ძალის მართვა, რომელიც უმრავლესობაშია, ურთულესი აღმოჩნდება მისთვის. ეს იქნება მისთვის სერიოზული გამოწვევა და ამას ერთპიროვნულად ვერ გაართმევს თავს.

***— რატომ?***

— დარწმუნებული არ ვარ, რომ ე.წ. ბრძნული თავების მქონე პოლიტიკოსებმა ადვილად დაუთმონ გარკვეული საკითხების გადაწყვეტა.

***— თქვენ ამბობთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარის კომპეტენციაში ჩაერევიან?***

— არა, არ ჩაერევიან, შიდა, კულუარული დისკუსიის დროს არ დაუთმობენ, მით უფრო, როდესაც დაახლოებით სამი თუ ოთხი დაჯგუფება მხოლოდ პარტიის შიგნით არის. პარლამენტის თავმჯდომარე ქვეყნის მეორე პირია, პრემიერ-მინისტრი — მხოლოდ მესამე, პირველი პირი კი პრეზიდენტია. ამდენად, ასე მარტივი არ იქნება პროცესები მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

# რა ნორმის გაუქმებას ითხოვს „პატრიოტთა ალიანსი“

გულიკო ბალაძე

**მე-9 მოწვევის პარლამენტი შეიკრიბა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს დღის წესრიგშია მანდატების გადანაწილების წესის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის" სარჩელის განხილვა.**

„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი და იურისტი მამუკა ტუსკაძე ფიქრობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებს იმ ნორმას, რომლის გამოყენებითაც ცესკომ მანდატები გადაანაწილა. თუმცა, აღსრულება გაჭირდება, ანუ მანდატების ხელახალი გადანაწილება გაძნელდება.

„ახალ თაობასთან“ საუბარში მამუკა ტუსკაძე ამბობს, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, არის სამართლებრივი გზები, რომ მოპოვებული ორი მანდატი აითვისონ.

***— ბატონო მამუკა, პარლამენტმა მუშაობა დაიწყო, „პატრიოტთა ალიანსს“ კი შეტანილი აქვს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის იმ ნორმის გასაუქმებლად, რომელიც მანდატების გადანაწილებას ეხება. რას ელოდებით?***

— საკონსტიტუციო სარჩელი ეხება საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის შეუთავსებლობას საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლთან. ეს მუხლები ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუსაბამობაშია.

***— საკაშვილს კარგად ჰქონდა საქმე აწყობილი თავის სასარგებლოდ, რაც დღემდე გადმოვიდა.***

— თავის დროზე ეს გაკეთდა სატელიტი პარტიისთვის. თუმცა, აღნიშნული ნორმა მათ არ დასჭირდათ 2012 წელს. აქამდე ამ შეუსაბამობის გასწორება არ დასჭირვებიათ, რადგან 2012 წელს პირველმა პარტიამ მიიღო 55%, მეორე პარტიამ 40%, მესამე პარტია კი პარლამენტში არ შესულა. მანდატების განაწილების მუხლში ცვლილება 2009 წელს შეიტანეს. 7 წელზე მეტი გავიდა და ახლა დადგა ამის გასწორების საკითხი. მე-9 მოწვევის პარლამენტში მესამე პარტიის შესვლამ ეს ხარვეზი წარმოაჩინა.

***— თქვენთვისაც არ იყო ცნობილი ამ ხარვეზის შესახებ?***

— ამ მუხლის გამოყენება საჭირო არასოდეს გამხდარა. ეს მუხლი პირველად ამუშავდა და გამოჩნდა, რომ ის დისკრიმინაციული და უსამართლოა.

***— როდის დაფიქრდა „პატრიოტთა ალიანსი“ ამაზე?***

— „პატრიოტთა ალიანსი“ ამაზე დაფიქრდა იმ დღეს, როდესაც ხმების რაოდენობა დაითვალა, დარჩა 17 მანდატი, შემდეგ კი იმ 17 მანდატიდან ჩვენ 3 მანდატი დაგვიმატეს. ამით საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის პირობა დააკმაყოფილეს, ხოლო დანარჩენი 14 მანდატი პირველ და მეორე ადგილზე გასულმა ნაცმოძრაობამ და „ოცნებამ“ გადაინაწილეს.

ამის შემდეგ ჩავხედეთ საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლს და აღმოვაჩინეთ, რომ კონსტიტუციასთან შეუსაბამობასთან გვქონდა საქმე.

კონსტიტუციის 50-ე მუხლში ცალსახად წერია, რომ მანდატები უნდა გადანაწილდეს გამარჯვებულ პარტიებს შორის თანაბრად და სამართლიანად. კონსტიტუცია უფრო მაღლა მდგომი კანონია. ამიტომ ცესკოს აუცილებლად უნდა ეხელმძღვანელა კონსტიტუციით. ცესკომ იხელმძღვანელა მხოლოდ საარჩევნო კოდექსით და მივიღეთ მანდატების უსამართლო განაწილება.

ყველა ქვემდგომი კანონი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლომ სავსებით კანონიერად და სამართლიანად უნდა გააუქმოს კანონის არსებული ნორმა საარჩევნო კოდექსში და მოხდეს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

***— როგორც ვიცი, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, ეს საქმე განიხილოს არსებითად. რა პრობლემა რჩება?***

— სხდომის გამართვა გაიწელა. დღეს და ხვალაც რომ ჩატარდეს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა, აღსრულება მაინც გაჭირდება.

***— რატომ?***

— აღსრულება იმიტომ არის ძნელი, რომ ცესკოს მიერ წარდგენილი სიის მიხედვით, პარლამენტი უკვე შეუდგა მუშაობას. მათი უფლებამოსილება უკვე ცნეს.

მანამდე ჩვენ ვიჩივლეთ ადმინისტრაციულ სასამართლოში, ბათილად ყოფილიყო ცნობილი ის შემაჯამებელი ოქმი, რომლის თანახმადაც დაფიქსირდა მანდატების განაწილება პროპორციული წესით. ორივე ინსტანციაში საქმე წაგვაგებინეს.

თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვას მაინც სჭირდება ადმინისტრაციულ სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან მას შეეძლო გაეუქმებინა მანდატების ამგვარი გადანაწილება.

***— ადმინისტრაციულ სასამართლოს რომ გაეუქმებინა შემაჯამებელი ოქმი, მაშინ მანდატებს მიიღებდით?***

— მანდატებს ვერ მივიღებდით, თუ არ იქნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

***— იმედი გაქვთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თქვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებს?***

— ველოდებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ჩვენს სარჩელს დააკმაყოფილებს, რადგან ახალი სასამართლოა. თუ საკონსტიტუციო სასამართლო ემსახურება კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობას, კანონის ამ ნორმას გააუქმებს და მომავალ არჩევნებში ჩვენ გვექნება მანდატების სამართლიანი გადანაწილების წესი.




***— თუმცა, როგორც ჩანს, თქვენ ვერ ისარგებლებთ ამით.***

— შესაძლოა, ვერ ვისარგებლებთ, მაგრამ ამ სიკეთით ისარგებლებენ საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტში მოხვედრილი პარტიები. „პატრიოტთა ალიანსი“ ამ სარჩელით სიკეთეს აკეთებს მომავლისთვის. მესამე და მეოთხე პარტიას, რომელიც ბარიერს გადალახავს, მანდატების სამართლიანი გადანაწილების პრობლემა აღარ ექნება.

***— მაინც რატომ ხართ დარწმუნებული, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თქვენ სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს?***

— ჩვენ სასარგებლო გადაწყვეტილებას არა, საკონსტიტუციო სასამართლო გამოიტანს ქვეყნისა და კონსტიტუციის სასარგებლო გადაწყვეტილებას. კონსტიტუციის 50-ე მუხლში პირდაპირ წერია, რომ მანდატები უნდა განაწილდეს თანაბრად და სამართლიანად.

***— ცესკოში კომისიაში წარმომადგენელი არ გყავდათ?***

— ცესკოში წარმომადგენელი გვყავდა, მაგრამ წევრი — არა, ვისაც უფლება ექნებოდა, პროტესტი გამოეთქვა მანდატების არასამართლიან გადაწყვეტილებაზე. ვფიქრობ, მომავალი არჩევნები იქნება უფრო სამართლიანი.

***— საარჩევნო კომისიას შეეძლო უგულებელეყო საარჩევნო კანონის მოთხოვნა და კონსტიტუციით ეხელმძღვანელა?***

— რა თქმა უნდა. ცესკოს შეეძლო ეთქვა, კანონში წერია, მაგრამ კონსტიტუციით დარჩენილი მანდატები უნდა გადანაწილდეს იმ პარტიებსა და ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ 5%-ს მაინც.

ჩვენი საჩივრის დაკმაყოფილების შემდეგ კანონში დისკრიმინაციული ნორმის მოქმედება შეჩერდება და ამოქმედდება სამართლიანი ნორმა.

თუმცა, არსებობს სამართლებრივი გზები (რომელსაც ჩვენ დღეს არ ვამხელთ), რითაც შეიძლება დამატებით მოპოვებული ორი მანდატი რეალურად ავითვისოთ.

***— თქვენ თქვით, აღსრულება გაძნელდებაო.***

— თეორიულად არსებობს ამის გზები, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მოხდეს. ჩვენ მივმართავთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს. ამ შემთხვევაში ადამიანების უფლებებია დარღვეული. 88 ათასმა ადამიანმა ხმა მოგვცა და 6 მანდატი მივიღეთ. 3-ჯერ მეტი ხმა ვინც მიიღო, მან ჩვენზე 20-ით მეტი მანდატი მიიღო, რაც არასამართლიანია. ამას არეგულირებს კანონი დისკრიმინაციის შესახებ და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს დისკრიმინაციული ნორმა გასწორდება.

# სოხუმი და ცხინვალი კალაშნიკოვმა გააბრაზა



სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმები რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ კალაშნიკოვის განცხადების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ.

მარიონეტული რეჟიმების უკმაყოფილება კალაშნიკოვის იმ განცხადებამ გამოიწვია, რომელიც მან 2 დღის წინ რუს ჟურნალისტებთან საუბარში გააკეთა. მაშინ მან განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობის განვითარების პარალელურად კონფედერაციის ვარიანტის განხილვა, შესაძლოა, საქართველოსთვის კონფლიქტის მოგვარების ვარიანტი იყოს.

— თუ მოლდოვა დნესტრისპირეთში ტერიტორიული კონფლიქტის მოგვარებას კონფედერაციის გზით შეძლებს და, ამასთანავე, რუსეთთან ურთიერთობებს განავითარებს, ეს იქნება კოპირება საქართველოსა და უკრაინაში კონფლიქტის მოსაგვარებლად, — განაცხადა კალაშნიკოვმა.

ამ განცხადების შემდეგ ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვით, ლეონიდ კალაშნიკოვის მოსაზრება ძალზე ნეგატიურად და არაპროფესიონალურად ჟღერს.

— თავისი უსაფუძვლო განცხადებებით ის ეჭვქვეშ აყენებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მიიღო.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო დუმის დეპუტატი შექმნილი სიტუაციიდან სწორ დასკვნებს გამოიტანს და სამომავლოდ, რესპუბლიკა აფხაზეთის სტატუსის თაობაზე ასეთი გაუაზრებელი განცხადებებისგან თავს შეიკავებს, — ნათქვამია განცხადებაში.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის საგარეო უწყებამ კი კალაშნიკოვის კომენტარზე საპასუხოდ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვით, ბ-ნი კალაშნიკოვისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთს არა აქვს არანაირი კავშირი არც საქართველოს ტერიტორიასთან და არც მის ტერიტორიულ დაყოფასთან.

სააგენტო „რია ნოვოსტი“-ს ცნობით, თავად კალაშნიკოვმა 18 ნოემბერს ახალი განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვით, ის გაკვირვებული დარჩა აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქციით.

რუსი დეპუტატის თქმით, მისი განცხადება ეხებოდა მხოლოდ საქართველოს, სადაც არსებობს უამრავი ეროვნული კონფლიქტი, რომელთაც მოგვარება სჭირდება.

**ინტერპრესნიუსი**

# ექსპერტები ნატოში ახალი წევრების მიღების პროცესის შეჩერებას პროგნოზირებენ

## ტრამპის ხედვები ჯერ გაურკვეველია




მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს ხელისუფლების ოპონენტები უკვე აკრიტიკებენ „ქართული ოცნების" ხელისუფლებას აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტთან ურთიერთობაში პასიურობის გამო. საქართველოს ხელისუფლება აქტიურობის პირობას დებს და დარწმუნებულია, რომ საქართველო ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორად დარჩება.**

ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ახალი პრეზიდენტი საქმიანობას 20 იანვრიდან შეუდგება. ჯერჯერობით ბევრი რამ გაურკვეველია. ამას სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები აღიარებენ. ისინი გამოთქვამენ პროგნოზებს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალი საქმიანობის ახალ პირობებში შეფასებისას ახსენებენ საქართველოსაც.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ფრანსუა დალანსონი არ გამორიცხავს, რომ ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ ფაქტად მიიღოს ყირიმის ანექსია, მხარი დაუჭიროს რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნასა და ნატოში ახალი წევრების, მაგალითად, საქართველოსა და უკრაინის მიღების პროცესის გაყინვას. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკა აღიარებს რუსეთის გავლენას ძველი სამყაროს საკმაო ნაწილზე.

თუ აშშ ამ დათმობებზე წავიდა, რუსეთს მოუწევს საპასუხო გადაწყვეტილებების მიღება, კერძოდ, უარის თქმა აგრესიაზე უკრაინის აღმოსავლეთში, ბალტიის სახელმწიფოების მიმართ სამხედრო ზეწოლაზე, ასევე სამხედრო ჟესტიკულაციებზე ნატოს მოკავშირეების მიმართ.

ფრანსუა დალანსონის თქმით, ამერიკასა და რუსეთს ერთნაირი პოზიციები აქვთ სირიაში ჯიჰადისტებთან ბრძოლის საკითხში.

დონალდ ტრამპის ზოგიერთი განცხადება არ ემთხვევა რესპუბლიკური პარტიის ხედვებს.

ექსპერტის განმარტებით, აშშ-ის რესპუბლიკური პარტია ერთსულოვანი არ არის. აქ, ცნობილი „ქორების" გარდა, არიან ისეთი პოლიტიკოსებიც, რომლებიც არ უჭერენ მხარს ამერიკის ჩარევას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მიმდინარე მოვლენებში. გარდა ამისა, არსებობს კონსერვატორების ჯგუფიც, რომელიც იწონებს სამხედრო ხარჯების გაღებას, მაგრამ ჰუმანიტარული მიზნებით ჩარევის მოწინააღმდეგეა.

### ამერიკელი რესპუბლიკელები უკრაინას ლობირებენ

სი ენ ენი-ს შეფასებით, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა შეიძლება ძირეულად არ შეიცვალოს, თუმცა, არსებობს მოვლენათა განვითარების მეორე ვარიანტი. ესაა დაახლოება რუსეთთან. ამ შემთხვევაში ამერიკის ხელისუფლებას დაუპირისპირდებიან არა მარტო მისი მოკავშირეები, არამედ ამერიკის ელიტის დიდი ნაწილი.

ამერიკული უიკლი სტანდარდი ესაუბრა რესპუბლიკელ სენატორებს. აღმოჩნდა, რომ მათ არ იციან, როგორ პოლიტიკას გაატარებს არჩეული პრეზიდენტი უკრაინის მიმართ. ისინი, თავის მხრივ, ეცდებიან ტრამპის დარწმუნებას, დაეხმაროს კიევს რუსეთის აგრესიასთან ბრძოლაში და წარადგენენ კანონპროექტებს უკრაინის მხარდასაჭერად, თუმცა უცნობია, დაეხმარება თუ არა ამერიკა უკრაინას იარაღით.

გამოცემა იხსენებს ტრამპის გამონათქვამებს და აღნიშნავს, რომ მან არ გამორიცხა ყირიმის აღიარება რუსეთის ნაწილად და რუსეთისთვის სანქციების მოხსნის მხარდაჭერა. ამის მიუხედავად, კიევში გამოთქვამენ რწმენას, რომ ამერიკა კვლავ უკრაინის მხარდამჭერი იქნება.

ამერიკან კონსერვატივი მიიჩნევს, რომ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია. ტრამპის ადმინისტრაციაში კი მოსალოდნელია „ქორების" დანიშვნა, რაც არ შეანელებს დაძაბულობას, თუმცა, ჰილარი კლინტონის არჩევნებში დამარცხებით სირიის ხელისუფლებისა და რუსეთის მიმართ აგრესიული პოლიტიკის მომხრეებმა დაკარგეს აქტიური მოკავშირე.

გამოცემის შეფასებით, ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებისთვის საკმარისია ახალი გამაღიზიანებელი ფაქტორების უარყოფა, მაგალითად, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო გეგმების აღორძინებაზე უარის თქმა.

— კარგს არ მოიტანს საუბრები აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს შემდგომ გაფართოებაზე. ეს შექმნის უსარგებლო დაძაბულობას და მოჩვენებითად გაამხნევებს შესაძლო წევრებს, — ასკვნიან ექსპერტები.

მათი აზრით, ამერიკა-რუსეთის კონსტრუქციული თანამშრომლობით სარგებლობას მიიღებენ ამერიკაც და რუსეთის მეზობლებიც.

# ეროვნული ბანკი: „დაუშვებელია, კომერციული ბანკის მიერ კანონმდებლობის დარღვევები მთელ საფინანსო სისტემაზე განზოგადდეს"

დაუშვებელია, კონკრეტული კომერციული ბანკის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის ფაქტები მთელ საფინანსო სისტემაზე განზოგადდეს.

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებაში.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნული ბანკი წარმოადგენს საზედამხედველო ორგანოს, რომლის ფუნქციაც არის ზედამხედველობას დაქვემდებარებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმება.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული ფაქტი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, აღნიშნული კვალიფიკაციის მინიჭება ეროვნული ბანკის კომპეტენციას სცილდება.

ეროვნული ბანკი, დისტანციური ზედამხედველობის და ადგილზე ინსპექტირების გზით, სისტემატურად ამოწმებს დაქვემდებარებული სუბიექტების შიდა კონტროლის სისტემის სტანდარტებთან შესაბამისობას. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაცია მიეწოდება შესაბამის სტრუქტურებს.



ფულის გათეთრების აღმკვეთი სტანდარტების მოთხოვნების დარღვევების გამო ცალკეული ფინანსური ინსტიტუტებისთვის ლიცენზიის გაუქმების თუ სხვა საზედამხედველო ღონისძიებების გატარების ფაქტები ფიქსირდება განვითარებულ ქვეყნებშიც. ამდენად, დაუშვებელია კონკრეტული კომერციული ბანკის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების სისტემატური დარღვევის ფაქტების გამოვლენა და ლიცენზიის გაუქმება განზოგადებულ იქნას მთელ საფინანსო სისტემაზე და განხილულ იქნას ტენდენციად.

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ფინანსური სექტორის სტაბილურობის გარანტი, თავის საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

— ამასთანავე, საფინანსო ინსტიტუტებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კუთხით ეროვნული ბანკის ზედამხედველობა დადებითად არის შეფასებული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის მიერ, — ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

# არჩილ თალაკვაძე: „ნაციონალებმა ერთხელაც არ მოიხადეთ ბოდიში!"




— თქვენ ერთხელაც ვერ მოახერხეთ ბოდიშის მოხდა და პასუხისმგებლობის აღება ამ წლების განმავლობაში.

ასე მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ მე-9 მოწვევის პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ნაციონალური მოძრაობის წევრებს.

როგორც არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში ქალაქის მერიაში შპს იყო შექმნილი, სადაც აქტივისტებს ასაქმებდნენ ტექნიკური მუშაკების სამუშაო აღწერილობის ქვეშ.

— ნეპოტიზმზე საუბარი, როდესაც ქალაქის მერიაში შპს გქონდათ შექმნილი, სადაც აქტივისტებს ასაქმებდით ტექნიკური მუშაკების სამუშაო აღწერილობის ქვეშ, მე მგონი, ცოტა უსამართლოა.

კორუფციაზე კი არ უნდა გვესაუბრებოდეთ ადამიანები, რომლებიც იმ ხელისუფლებას აფარებდით ხელს, სადაც მანქანებს ყიდულობდნენ ბიზნესმენები თქვენი მაღალჩინოსნებისთვის და დღეს პროკურატურას უხდება ამ დაძველებული მანქანების უკან დაბრუნება და მე ვფიქრობ, რომ სამართლიანი იქნება, განსხვავებები თქვენ თვითონ რომ აანაზღაუროთ, — განაცხადა თალაკვაძემ.

მან მიმართა ნაციონალური მოძრაობის წევრებს, გადავიდნენ კონსტრუქციულ, საქმის კეთების რეჟიმში.

— თქვენ ხართ ხალხი, რომლებმაც სცემეთ საქართველოს ომბუდსმენს და მერე დააყოლეთ განცხადება, რომ ეს იყო დასასჯელად.

თქვენ ხართ ხალხი, რომელიც აყალბებდით არჩევნებს. რაც თქვენი მმართველობის დროს ხდებოდა, ის იმედის მომცემი იყო თქვენთვის?! საკუთრების ჩამორთმევა, ტელეიმედზე რეიდების ჩატარება, ჟურნალისტების დაპატიმრება, სიკვდილიანობის კატასტროფული მაჩვენებელი სასჯელაღსრულების სისტემაში, უმძიმესი დანაშაულები.

პირად ცხოვრებაზე რომ გვესაუბრებით, ფირები გაქვთ გადაღებული და დღემდე ვერ დასრულდა ამ ფირების განადგურება, ხან სად და ხან სად პოულობენ მოქალაქეები. მაშინ ძალიან იმედის მომცემი გარემო იყო შექმნილი, თუ როგორ არის საქმე?!

მოკლედ, ჩვენ მაინც მზად ვართ თანამშრომლობისთვის, მაგრამ მაინც დღეს თქვენ ხართ უცნაური თავის მართლების რეჟიმში და მე გთხოვთ, რომ კონსტრუქციულ, საქმის კეთების რეჟიმში გადახვიდეთ.

ამ წლების განმავლობაში თქვენ ერთხელაც ვერ მოახერხეთ ბოდიშს მოხდა და პასუხისმგებლობის აღება და დღეს არ უნდა გვესაუბრებოდეთ იმ საქმეებზე, რომლებიც თქვენ გიკავშირდებათ.

სამართლიან სასამართლოზე რომ საუბრობთ, რომელი იყო, ბატონი ბახუტოვი რომ მკვლელობაზე გაასამართლა და მოკლული ადამიანი რომ სოფელში დაბრუნდა — ეს იყო სამართლიანი სასამართლო? — მიმართა თალაკვაძემ ნაციონალური მოძრაობის წევრებს.

ინტერპრესნიუსი

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გადატვირთულ მიკროავტობუსში ასვლისგან თავი შეიკავეთ!




„თბილისის მიკროავტობუსი" მომხმარებელს მიმართავს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი გადატვირთულ მიკროავტობუსში ასვლისგან.

ამის შესახებ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის" სპეციალურ განცხადებაშია ნათქვამი.

სპეციალური განცხადებით კომპანია სოციალურ ქსელში გავრცელებულ კადრებს ეხმაურება, სადაც მიკროავტობუსში მყოფი ფეხზე მდგომი მგზავრები ფიქსირდებიან.

— კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი" კატეგორიულად აცხადებს, რომ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, აკრძალულია მიკროავტობუსში 5 ადამიანზე მეტის ფეხზე დგომა.

უმორჩილესად ვთხოვთ ჩვენს მომხმარებლებს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი გადატვირთულ მიკროავტობუსში ასვლისგან. ასევე, მოგახსენებთ, რომ ყველა იმ მძღოლის მიმართ, რომელიც დაუშვებს მის მიერ მართვად სამარშრუტო ტაქსში ზედმეტი მგზავრის აყვანას, გატარდება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები კომპანიის მონიტორინგის სამსახურის მიერ, — ნათქვამია „თბილისის მიკროავტობუსის" სპეციალურ განცხადებაში.

# კრწანისში ყოფილი სამთავრობო ავტოსადგომი 5 მილიონ ლარად გაიყიდა



კრწანისში ყოფილი სამთავრობო ავტოსადგომის ნაცვლად 120-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი მოეწყობა.

როგორც ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან იუწყებიან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ პროექტ „50 ქონება შენი სასტუმროსთვის" ფარგლებში თბილისში გორგასლის შესახვევში, №5-ში მდებარე 17.313 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება პირობიან ელექტრონულ აუქციონზე 5.027.000 ლარად გაყიდა.

აუქციონის პირობების მიხედვით, მყიდველი ვალდებულია, უძრავ ქონებაზე მოაწყოს არანაკლებ 120-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი, რისთვისაც განახორციელებს 10 მილიონ ლარზე მეტ ინვესტიციას.

პროექტ „50 ქონება შენი სასტუმროსთვის" ფარგლებში ეს უკვე რიგით მეორე გაყიდული ობიექტია. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ" ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №44-ში მდებარე უძრავი ქონება 5.750.001 ლარად გაყიდა.

უძრავ ქონებაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მინიმუმ 30-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი მოეწყობა და 5.300.000 ლარის ინვესტიცია განხორციელდება. სასტუმროში 30 ადამიანი დასაქმდება.

საქართველოში ბოლო დროს დაფიქსირებულმა ტურისტული ნაკადების რაოდენობის ზრდამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ქვეყანაში შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის სექტემბერში პირველმა ვიცეპრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ბიზნესსექტორს წარმოუდგინა ტურიზმის განვითარების კუთხით არსებული საინვესტიციო შესაძლებლობები, მათ შორის პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის".

აღნიშნული პროექტი ინვესტორებს აძლევს შესაძლებლობას, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მოაწყონ სასტუმრო კომპლექსი და გზებზე გასაჩერებელი/მოსასვენებელი ინფრასტრუქტურა.

პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის" და „გასაჩერებელი ადგილები საქართველოს გზებზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით შემუშავდა.

# მოგების გადასახადის რეფორმა ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან შევა



რეინვესტირების შემთხვევაში კომპანიები მოგების გადასახადისგან გათავისუფლდებიან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა 85 ხმით დაამტკიცა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები.

მოგების გადასახადით მხოლოდ განაწილებული მოგება დაიბეგრება.

– რეფორმას პოზიტიური შედეგები ექნება, მათ შორის დაჩქარდება ეკონომიკურ ზრდა, გაიზრდება ფინანსურ რესურსებზე კომპანიების ხელმისაწვდომობა, ბიზნესში არსებული აქტივების ლიკვიდურობა, ინვესტიციები, კაპიტალის მოცულობა, ბიზნესის კრიზისისადმი მდგრადობა, შემცირდება გარე ფინანსური შეზღუდვები, ბიზნესს ექნება მეტი შესაძლებლობა განვითარებისთვის, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჩამოყალიბდება კიდევ უფრო მიმზიდველი კლიმატი ბიზნესის დაწყების და წარმოების კუთხით, გამარტივდება საგადასახადო აღრიცხვა და ადმინისტრირება.

– გარდა ამისა, დამტკიცებული ცვლილებების მიხედვით: საგადასახადო დავის პერიოდში საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდება, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებების იმპორტი დღგ-ს თანხის გადახდისაგან გათავისუფლდება, მოხდება 100,000-მდე გადამხდელისთვის უიმედო საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა – 2011 წლამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანებების და 2013 წლამდე დარიცხული საგადასახადო სანქციების ჩამოწერა, საგადასახადო კონტროლს განახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო, – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სამინისტროს ცნობით, საგადასახადო რეფორმაზე მუშაობის პროცესში, სხვადასხვა ბიზნესასოციაციასა და ორგანიზაციასთან რამდენიმე ათეული შეხვედრა გაიმართა, სადაც ბიზნესის წარმომადგენლები საგადასახადო ცვლილებების ძირითად შინაარსს გაეცნნენ.

აღნიშნული შეხვედრების დროს ბიზნესის მხრიდან საქართველოში რეფორმის განხორციელება ცალსახად დადებითად შეფასდა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მოგების გადასახადის რეფორმის მომზადებაში ჩართულები იყვნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. რეფორმის მომზადებაში მონაწილეობდნენ პარტნიორი დონორი ორგანიზაციები, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის" ექსპერტები, ასევე ესტონელი კოლეგები.

# ლარი დოლართან გაუფასურდა, ევროსთან გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.



19 ნოემბრიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4889 ლარი გახდება. კურსი, რომელიც 18 ნოემბერს მოქმედებდა, 2.4861 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0028 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გამყარდა.

კერძოდ, 19 ნოემბრიდან 1 ევროს შეძენა 2.6420 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა 18 ნოემბერს მოქმედი კურსი 2.6673 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0253 ლარი შეადგინა.


## სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

**ღია კონკურსს**

**შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:**

**არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორია**
მეცნიერ-თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი,
(უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს);

**მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები:**

*კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:*

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორი.
2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს - Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე(xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. განცხადების ფორმა); www.sipt.org.ge
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/ კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად
ელ-ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2016 წლის 19 დეკემბრის 10 საათიდან 28 დეკემბრის 6 საათამდე.

– კონკურსი გაიმართება 2016 წლის 29 დეკემბერს.

**დამატებითი ინფორმაცია ლაბორატორიების მეცნიერ-თანამშრომლების თანამდებობრივ ინსტურქციასთან დაკავშირებით იხილეთ www.sipt.org.ge**
**დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი – ხათუნა ლომიძე**
**ტელეფონი: 599959913**

## სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

**ღია კონკურსს**

**შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/ მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:**

4. ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;

**კონკურსის პირობები:**

*კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:*

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე(xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (განცხადების ფორმა)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;
11. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად
ელ ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2016 წლის 19 დეკემბრის 10 საათიდან 28 დეკემბრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).
– კონკურსი გაიმართება 29 დეკემბერს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:**
**ხათუნა ლომიძე**
**ტელეფონი: 599959913**

# ევროპამ უკრაინას უვიზო რეჟიმზე წინასწარი თანხმობა განუცხადა

ევროკავშირის ქვეყნებმა წინასწარი თანხმობა განაცხადეს უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებაზე. ახლა დარჩა მხოლოდ ფორმალობა: უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომ აუცილებლობის შემთხვევაში უვიზო რეჟიმი გაუქმდეს.

— უკრაინა-ევროკავშირის სამიტის წინ უკრაინელებს ვაგრძნობინე, რომ ამ ქვეყანას კვლავაც პარტნიორად განვიხილავთ, — განაცხადა ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ.




პრეზიდენტმა პოროშენკომ ევროკავშირის ქვეყნებს მიღებული გადაწყვეტილების გამო მადლობა გადაუხადა და მოუწოდა, ვიზალიბერალიზაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება რაც შეიძლება მალე მიიღონ.

— ჩვენი ხალხი ამას მოუთმენლად ელის, — თქვა პოროშენკომ.

# დონალდ ტრამპი სინძიო აბეს შეხვდა



აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იაპონიის ლიდერ სინძიო აბეს შეხვდა.

საუბარი არაფორმალურ ხასიათს ატარებდა.

აბე პირველი უცხოელი ლიდერია, რომელსაც ტრამპი ინაუგურაციამდე შეხვდა.

ვარაუდობენ, რომ ინაუგურაციის შემდეგ ტრამპი ტოკიოში უკვე ოფიციალურად ჩავა.

# აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის უფროსს გადადგომა სურს

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის უფროსმა კლეპერმა განაცხადა, რომ გადადგომა სურს.

— დაზვერვის შეფის პოსტზე მე ჩემი თავი ამოვწურე. ახლა დროა, გზა სხვებს დავუთმო, — ამბობს იგი.

კლეპერმა აღნიშნა, რომ რუსულ-უკრაინული კონფლიქტი ტრამპის ადმინისტრაციის დროსაც გაგრძელდება. მისი აზრით, მოსალოდნელია დონბასში მდგომარეობის მკვეთრი გამწვავება.

— რუსეთი თავის აგრესიულ პოლიტიკას არ შეწყვეტს, — ამბობს კლეპერი.

ეუთოში აშშ-ის წარმომადგენელმა ბაერმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში რუსეთიდან დონბასში 30.000 რუსი ჯარისკაცი გადაისროლეს.

— მინსკის პროცესი ჩაიშალა. აუცილებელია ახალი სამშვიდობო სქემის ამოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთ-უკრაინას შორის ფართომასშტაბიანი ომი გარდაუვალია, — აცხადებს კლეპერი.

# სირია: ყველა ყველას წინააღმდეგ





სირიაში სამოქალაქო ომი გრძელდება. ერთიანი სახელმწიფო დე ფაქტოდ უკვე არ არსებობს. სირიის ნაწილს ასადის მომხრენი აკონტროლებენ, ნაწილს — ისლამისტი ექსტრემისტები. რაღაც ტერიტორიაზე გამაგრებული არიან პროთურქული ორიენტაციის პარტიზანები, რომელთაც თურქეთის არმია იცავს. უკვე არსებობს პროქურთული ანკლავი, აგრეთვე ტერიტორია, რომელსაც სირიის თავისუფალი არმია აკონტროლებს.

სირიაში თავიანთი ინტერესები აქვთ ამერიკას, რუსეთს, თურქეთს, ისრაელს, საუდის არაბეთს, ირანს. ეს მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი — სირიულ პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობენ ლიბერალები. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, სირიის თავისუფალი არმია, რომელსაც ზომიერ პარტიზანებს უწოდებენ, გაცილებით რადიკალური ისლამისტური პოზიციით გამოირჩევა, ვიდრე ამჟამინდელი მმართველი პარტია ბაასი, რომლის ლიდერიც ბაშარ ასადია.

შესაბამისად, ასადის დამხობა პრობლემას ვერ გადაწყვეტს. მას, სავარაუდოდ, იმავე ყაიდის ან უფრო რადიკალი მოღვაწე შეცვლის, სულ ერთია, ეს ბაასის წარმომადგენელი იქნება თუ სირიის თავისუფალი არმიის.

თელ-ავივში თვლიან, რომ ყველაზე ნაკლები ბოროტება მაინც ასადია.

— სხვებისაგან განსხვავებით, ასადი პროგნოზირებადი პიროვნებაა, — ამბობს ისრაელის პრეზიდენტი როუვენ რივლინი.

ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ასადს არ შესწევს ძალა, სირიის მთელ ტერიტორიაზე კონტროლი დაამყაროს. ალეპოს აღების შემთხვევაშიც კი ასადი ამას ვერ შეძლებს. არც ქურთები, არც ასადისადმი მტრულად განწყობილი არაბული ტომები, არც პროთურქული ორიენტაციის პარტიზანები ასადის ძალაუფლების ქვეშ ცხოვრებას არ მოისურვებენ.

ასევე საეჭვოა, რომ ასადმა, თვით რუსების დახმარებითაც კი, მოახერხოს რაქას აღება, რომელიც ისლამურმა სახელმწიფომ თავის დედაქალაქად გამოაცხადა.

ისლამისტების გასანადგურებლად აუცილებელია როგორც რუსეთ-აშშ-ის, ასევე ყველა სხვა ძალის გაერთიანება. დღეს ეს შეუძლებელია, რადგან ყველა ყველას ებრძვის. ისლამისტები უპირისპირდებიან სირიის თავისუფალ არმიას, ქურთები — თურქებს, სხვადასხვა არაბული ტომი ერთმანეთს მტრობს, ასადი კი მისდამი მტრულად განწყობილი ყველა ძალის განადგურებას აპირებს.

ასეთ სიტუაციაში ექსპერტები ყველაზე ოპტიმალურ გამოსავლად რუსეთ-აშშ-ს შორის შეთანხმებას თვლიან, როცა სირია ფორმალურად ერთიან სახელმწიფოდ დარჩება, თუმცა სინამდვილეში ცალკეულ ანკლავებად დაიყოფა.

ქურთული ფორმირებები გარკვეულ ტერიტორიას გააკონტროლებენ. ასადს გავლენა რაღაც სხვა ტერიტორიაზე ექნება, დანარჩენზე სხვადასხვა ჯურის პარტიზანები გამაგრდებიან. რუსული ბაზები, ანუ რუსული გავლენა შენარჩუნდება, ისევე, როგორც შენარჩუნდება ამერიკელების გავლენა, რადგან რიგ ტერიტორიებს პროამერიკული ორიენტაციის ძალები გააკონტროლებენ. ასეთი შეთანხმების დადების შემდეგ შესაძლებელია ყველა ძალის გაერთიანება და ისლამისტების წინააღმდეგ გალაშქრება.

— აშშ-ის პრეზიდენტად ტრამპის არჩევის შემდეგ მართლაც რეალურია რუსეთ-აშშ-ს შორის სირიის გაყოფაზე შეთანხმების მიღწევა და ისლამისტების წინააღმდეგ გაერთიანება. ეს ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალია, — თვლის რუსი არაბისტი ისაევი.

ისმის კითხვა: დაჰყაბულდება ასეთ გარიგებას პუტინი? სირიული კვანძის გახსნა ხომ უაღრესად რთული საქმეა. ეს როგორც უზარმაზარ სახსრებს, ასევე რუსი ჯარისკაცების ძალისხმევასა და მსხვერპლს მოითხოვს. თუკი პუტინი ამას დათანხმდა, სანაცვლოდ რაღაცას მოითხოვს და ეს „რაღაც“ უკრაინის რუსული გავლენის ზონად აღიარებაა. შემდეგ ამას დსთის მთელი ტერიტორიის რუსული გავლენის ზონად აღიარების მოთხოვნაც მოჰყვება.

დათანხმდება ამას ტრამპი? რომც დათანხმდეს, ასეთ გარიგებას, ანუ ახალ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს წინ აღუდგება აშშ-ის კონგრესი, სენატი, უმაღლესი სასამართლო და, რა თქმა უნდა, ამერიკელი ხალხი.

# ჩეხეთსა და სლოვაკეთში ხავერდოვანი რევოლუციის 27-ე წლისთავი აღნიშნეს

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში და სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში ხავერდოვანი რევოლუციის 27-ე წლისთავი აღნიშნეს. ჩეხეთში ამ დღეს თავისუფლების გამარჯვების დღეს უწოდებენ, სლოვაკეთში — ტოტალიტარიზმზე გამარჯვების დღეს.

პრაღის ცენტრში გაიმართა სტუდენტთა 30.000-იანი მიტინგი. მისმა მონაწილეებმა სასტიკად გააკრიტიკეს ჩეხეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ზემანი, რომელიც პუტინის მეგობარია. მიტინგზე ითქვა, რომ არსებობს საფრთხე, რუსული გავლენა ჩეხეთში კვლავაც აღდგეს. შესაბამისად, ყველა დემოკრატიული ძალის კონსოლიდაცია აუცილებელია.

ბრატისლავაში გამართულ მიტინგზე ითქვა, რომ ხავერდოვანმა რევოლუციამ სლოვაკეთის დამოუკიდებლობა შესაძლებელი გახადა. გაიხსენეს სლოვაკური აღორძინების მოღვაწენი, გაიხსენეს პირველი სლოვაკური რესპუბლიკაც (1939-1945), რომელმაც სლოვაკი ერის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

— პირველმა სლოვაკურმა რესპუბლიკამ ხელი შეუწყო სლოვაკებში სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. ჩვენ ერად ვიქეცით, ამ სიტყვის პოლიტიკური და არა — ეთნოგრაფიული გაგებით. ამან შესაძლებელი გახადა სლოვაკეთის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. ხავერდოვანმა რევოლუციამ კი ჩეხებისა და სლოვაკების ხავერდოვანი გაყრა განაპირობა, — ითქვა ბრატისლავაში გამართულ მიტინგზე.

# ლიტვაში რტრ პლანეტის ტრანსლაცია შეაჩერეს

რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ კვლავ თავი ისახელა.

მან განაცხადა, რომ თუკი ამერიკელები ლიტვაში დამატებით ტანკებს განალაგებენ, ამ ტანკებს ეკიპაჟებიანად ააფეთქებენ. ამერიკულ ტანკებთან ერთად ლიტვური სახელმწიფოც დაიწვება. მას ისეთივე დღე დაადგება, როგორიც იაპონიას მეორე მსოფლიო ომის მიწურულს.

ლიტვის ხელისუფლებამ აღნიშნული განცხადება შეაფასა, როგორც აგრესიული და მიმართული ლიტვური სახელმწიფოს წინააღმდეგ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რტრ პლანეტის გადაცემების ტრანსლაციის 6 თვით შეჩერების შესახებ.

— რუსეთი ზესახელმწიფო კი არა, ზეპრობლემაა, — ნათქვამია ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# რუსეთმა სომხეთში ისკანდერები განალაგა



რუსეთმა სომხეთში ისკანდერის ტიპის რაკეტები განალაგა.

ამის თაობაზე თავად სომხეთის პრეზიდენტმა სარგსიანმა განაცხადა.

— აზერბაიჯანი თანამედროვე სამხედრო ტექნიკას სისტემატურად ყიდულობს, ჩვენ კი ამის ფინანსური შესაძლებლობა არ გვაქვს. ჰოდა, ჩვენს რუს მოკავშირეს დახმარება ვთხოვეთ. ისკანდერების განლაგება რეგიონში ბალანსის შენარჩუნებისთვის აუცილებელია, — აღნიშნა სარგსიანმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



**ელექტროლეიბი — ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160
რეჟიმი: 2
დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე);**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

# სუპერუქმეების მოლოდინში

## სტატისტიკა, ფსონები

სანაკრებო პაუზის შემდეგ ისევ ეროვნული ჩემპიონატების დრო დადგა. გულშემატკივრებს კი მომავალ უქმეებზე მოსაწყენად არ ეცლებათ. იმდენი საინტერესო მატჩია, ალბათ, ყველას ერთად ყურებასაც ვერ მოახერხებს.

რომელი ერთი გითხრათ? იტალიური მადონინა, მილანური დერბი მილანსა და ინტერს შორის თუ მადრიდული დერბი – ატლეტიკო-რეალი? ან მანჩესტერი-არსენალი იქნება მოსაწყენი თამაში, თუ დორტმუნდი-ბაიერნი? არჩევანი თქვენ გააკეთეთ, ჩვენ კი სასიამოვნო უქმეებს გისურვებთ...




### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.11 მანჩესტერი-არსენალი | 2.6 | 3.3 | 2.75 |
| 19.11 საუთჰემპტონი-ლივერპული | 3.5 | 3.4 | 2.05 |
| 19.11 ევერტონი-სუონსი | 1.6 | 4.2 | 5.0 |
| 19.11 კრ.პალასი-სიტი | 6.0 | 4.2 | 1.53 |
| 19.11 უოტფორდი-ლესტერი | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 19.11 სანდერლენდი-ჰალი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 19.11 სტოკი-ბორნმუთი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 19.11 ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 20.11 მიდლსბრო-ჩელსი | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 20.11 ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი | 1.95 | 3.25 | 4.2 |

**მანჩესტერი-არსენალი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-მარუან ფელაინი, კრის სმოლინგი, ერიკ ბაილი; ***დისკვ***-ზლატან იბრაჰიმოვიჩი

არსენალი: ***ტრავმ***-სანტი კაზორლა, ლუკას პერესი, ექტორ ბელერინი, დანი უელბეკი, პერ მერტეზაკერი

**საუთჰემპტონი-ლივერპული**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-დუშან ტადიჩი, რაიან ბერტრანდი, ჯერემი პიდი

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლალანა

**ევერტონი-სუონსი**

ევერტონი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-გარეთ ბერი

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

**კრ.პალასი-სიტი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-კრისტიან ბენტეკე, პაპე სუარე, ლოიკ რემი

სიტი: ***ტრავმ***-ფაბიან დელფი

**უოტფორდი-ლესტერი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-კრისტიან კაბასელე. კენედი; ***დისკვ***-ხოსე ხოლებასი

ლესტერი: ***ტრავმ***-დემარაი გრეი, დანი დრინკვოთერი, კასპერ შმეიხელი

**სანდერლენდი-ჰალი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ფაბიო ბორინი; ***დისკვ***-სტივენ პიენაარი

ჰალი: ***ტრავმ***-აბელ ერნანდესი, უილიამ კეინი, ენდრიუ რობერტსსონი; ***დისკვ***-ადამა დიომანდე

**სტოკი-ბორნმუთი**

სტოკი: ***ტრავმ***-გლენ ველანი, ჯეფ კამერონი, რამადან სობი, იბრაჰიმ აფელაი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-სტივ კუკი; ***დისკვ***-ადამ სმიტი

**ტოტენჰემი-ვესტ ჰემი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-დელი ალი, ბენ დევისი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-უინსტონ რიდი, გოკჰან ტურე, სემ ბირანი; ***დისკვ***-მარკ ნობლე

**მიდლსბრო-ჩელსი**

მიდლსბრო: ***ტრავმ***-არავინ

ჩელსი: ***ტრავმ***-დიეგო კოსტა

**ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-იონას ოლსონი

ბარნლი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 11 | 8 | 2 | 1 | 30-14 | 26 |
| 2.ჩელსი | 11 | 8 | 1 | 2 | 26-9 | 25 |
| 3.სიტი | 11 | 7 | 3 | 1 | 25-10 | 24 |
| 4.არსენალი | 11 | 7 | 3 | 1 | 24-11 | 24 |
| 5.ტოტენჰემი | 11 | 5 | 6 | 0 | 15-6 | 21 |
| 6.მანჩესტერი | 11 | 5 | 3 | 3 | 16-13 | 18 |
| 7.ევერტონი | 11 | 5 | 3 | 3 | 15-13 | 18 |
| 8.უოტფორდი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-19 | 15 |
| 9.ბარნლი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-15 | 14 |
| 10.საუთჰემპტონი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-12 | 13 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 12.სტოკი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-18 | 13 |
| 13.ბორნმუთი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-16 | 12 |
| 14.ლესტერი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-18 | 12 |
| 15.მიდლსბრო | 11 | 2 | 5 | 4 | 10-12 | 11 |
| 16.კრ.პალასი | 11 | 3 | 2 | 6 | 16-19 | 11 |
| 17.ვესტ ჰემი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-20 | 11 |
| 18.ჰალი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-24 | 10 |
| 19.სუონსი | 11 | 1 | 2 | 8 | 10-21 | 5 |
| 20.სანდერლენდი | 11 | 1 | 2 | 8 | 9-21 | 5 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.11 დეპორტივო-სევილია | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 19.11 ბარსელონა-მალაგა | 1.12 | 8.5 | 19.0 |
| 19.11 ეიბარი-სელტა | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 19.11 ატლეტიკო-რეალი | 2.4 | 3.25 | 3.0 |
| 20.11 ალავესი-ესპანიოლი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 20.11 ვალენსია-გრანადა | 1.35 | 5.0 | 8.5 |
| 20.11 ხიხონი-სოსიედადი | 3.3 | 3.2 | 2.25 |
| 20.11 ბილბაო-ვილიარეალი | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 21.11 ლეგანესი-ოსასუნა | 1.95 | 3.25 | 4.2 |

**დეპორტივო-სევილია**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ბორხა, ხოსელუ

სევილია: ***ტრავმ***-კარლოს ფერნანდესი, ბენუა ტრემულანისი

**ბარსელონა-მალაგა**

ბარსელონა: ***ტრავმ***-სამუელ უმტიტი, ანდრეს ინიესტა; ***დისკვ***-ლუის სუარესი

მალაგა: ***ტრავმ***-რეკიო, ჩარლესი, კეკო გონტანი, ველინგტონი; ***დისკვ***-იგნასიო კამაჩო

**ეიბარი-სელტა**

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-კიკე

სელტა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-იაგო ასპასი

**ატლეტიკო-რეალი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-აუგუსტო ფერნანდესი, ალესიო ჩერჩი

რეალი: ***ტრავმ***-ტონი კროოსი, კაზემირო

**ალავესი-ესპანიოლი**

ალავესი: ***ტრავმ***-ვიქტორი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-არავინ

**ვალენსია-გრანადა**

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

გრანადა: ***ტრავმ***-რუბენ ვეზო

**ხიხონი-სოსიედადი**

ხიხონი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ლილო

სოსიედადი: ***ტრავმ***-რუბენ პარდო

**ბილბაო-ვილიარეალი**

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

ვილიარეალი: ***ტრავმ***-არავინ

**ლეგანესი-ოსასუნა**

ლეგანესი: ***ტრავმ***-არავინ

ოსასუნა: ***ტრავმ***-ხაიმე რომერო, დიდიე დიუგარი, ხავიერ ფლანო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 11 | 8 | 3 | 0 | 31-10 | 27 |
| 2.ბარსელონა | 11 | 8 | 1 | 2 | 32-13 | 25 |
| 3.ვილიარეალი | 11 | 6 | 4 | 1 | 19-7 | 22 |
| 4.ატლეტიკო | 11 | 6 | 3 | 2 | 25-8 | 21 |
| 5.სევილია | 11 | 6 | 3 | 2 | 19-15 | 21 |
| 6.სოსიედადი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-12 | 19 |
| 7.ბილბაო | 11 | 5 | 2 | 4 | 15-13 | 17 |
| 8.სელტა | 11 | 5 | 2 | 4 | 18-21 | 17 |
| 9.ლას პალმასი | 11 | 4 | 4 | 3 | 21-18 | 16 |
| 10.მალაგა | 11 | 4 | 3 | 4 | 17-16 | 15 |
| 11.ეიბარი | 11 | 4 | 3 | 4 | 16-15 | 15 |
| 12.ალავესი | 11 | 3 | 4 | 4 | 11-15 | 13 |
| 13.ესპანიოლი | 11 | 2 | 6 | 3 | 13-17 | 12 |
| 14.ბეტისი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-22 | 11 |
| 15.ვალენსია | 11 | 3 | 1 | 7 | 15-21 | 10 |
| 16.დეპორტივო | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| 17.ლეგანესი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-22 | 10 |
| 18.ხიხონი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-22 | 9 |
| 19.ოსასუნა | 11 | 1 | 4 | 6 | 12-21 | 7 |
| 20.გრანადა | 11 | 0 | 4 | 7 | 9-25 | 4 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.11 აუგსბურგი-ჰერტა | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 19.11 დარმშტადი-ინგოლშტადი | 3.0 | 3.1 | 2.45 |
| 19.11 მაინცი-ფრაიბურგი | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 19.11 ვოლფსბურგი-შალკე | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 19.11 გლადბახი-კიოლნი | 2.25 | 3.25 | 3.25 |
| 19.11 დორტმუნდი-ბაიერნი | 3.4 | 3.6 | 2.05 |
| 20.11 ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი | 1.57 | 4.0 | 5.5 |
| 20.11 ვერდერი-აინტრახტი | 2.8 | 3.4 | 2.45 |

**აუგსბურგი-ჰერტა**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ალფრედ ფინბოგასონი, კაიბუ, რაფაელ ფლამბერგი

ჰერტა: ***ტრავმ***-სებასტიან ლანგკამპი, ვლადიმირ დარიდა, მარვინ პლატენჰარდი

**დარმშტადი-ინგოლშტადი**

დარმშტადი: ***ტრავმ***-იან როზენტალი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ალფრედო მორალესი

**მაინცი-ფრაიბურგი**

მაინცი: ***ტრავმ***-ფაბიან ფრეი, იოშინორი მუტო, კრისტიან კლემენსი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ქარიმ გუედე

**ვოლფსბურგი-შალკე**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იულიან დრექსლერი, რობინ კნოხე, ვიერინია, ბრუნო ენრიკე

შალკე: ***ტრავმ***-კლაას-იან ჰუნტელაარი, ბრეელ ემბოლო

**გლადბახი-კიოლნი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ნიკო შულცი, ანდრეას კრისტიანსენი

კიოლნი: ***ტრავმ***-დომინიკ მარო, ლეონარდო ბიტენკურტი

**დორტმუნდი-ბაიერნი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ნური შაჰინი, მარსელ შმელცერი, მარკო როისი, სვენ ბენდერი, ნევენ სუბოტიჩი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ხავი მარტინესი, ფრან რიბერი

**ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-მარკ უტი, პირმინ შვეგლერი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-არავინ

**ვერდერი-აინტრახტი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ლამინე სანე, ფალოუ დიანე, იაროსლავ დრობნი, ლუკა კალდიროლა

აინტრახტი: ***ტრავმ***-ანტე რებიჩი, გილერმო ვარელა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 10 | 7 | 3 | 0 | 24-6 | 24 |
| 2.ლაიპციგი | 10 | 7 | 3 | 0 | 20-7 | 24 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 5 | 0 | 18-11 | 20 |
| 4.ჰერტა | 10 | 6 | 2 | 2 | 17-10 | 20 |
| 5.დორტმუნდი | 10 | 5 | 3 | 2 | 25-12 | 18 |
| 6.კიოლნი | 10 | 5 | 3 | 2 | 16-7 | 18 |
| 7.აინტრახტი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-8 | 18 |
| 8.ლევერკუზენი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-15 | 16 |
| 9.ფრაიბურგი | 10 | 5 | 0 | 5 | 13-16 | 15 |
| 10.მაინცი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-18 | 14 |
| 11.გლადბახი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-15 | 12 |
| 12.შალკე | 10 | 3 | 2 | 5 | 13-12 | 11 |
| 13.აუგსბურგი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-14 | 11 |
| 14.ვოლფსბურგი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-13 | 9 |
| 15.დარმშტადტი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-20 | 8 |
| 16.ვერდერი | 10 | 2 | 1 | 7 | 12-27 | 7 |
| 17.ინგოლშტადტი | 10 | 0 | 2 | 8 | 7-21 | 2 |
| 18.ჰამბურგი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-23 | 2 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.11 კიევო-კალიარი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 19.11 უდინეზე-ნაპოლი | 4.2 | 3.6 | 1.83 |
| 19.11 იუვენტუსი-პესკარა | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 20.11 სამპდორია-სასუოლო | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 20.11 ემპოლი-ფიორენტინა | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 20.11 ატალანტა-რომა | 3.75 | 3.75 | 1.91 |
| 20.11 ბოლონია-პალერმო | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 20.11 ლაციო-ჯენოა | 1.67 | 4.0 | 4.8 |
| 20.11 კროტონე-ტორინო | 4.5 | 3.75 | 1.75 |
| 20.11 მილანი-ინტერი | 2.6 | 3.2 | 2.75 |

**კიევო-კალიარი**

კიევო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-დარიო დაინელი

კალიარი: ***ტრავმ***-პანაგიოტის ტაციდისი, მარკო კაპუანო, ნიკოლა მურუ, ჟოაო პედრო, არტურ იონიტა; ***დისკვ***-დანიელე დესენა

**უდინეზე-ნაპოლი**

უდინეზე: ***ტრავმ***-ევანდრო

ნაპოლი: ***ტრავმ***-არკადიუშ მილიკი

**იუვენტუსი-პესკარა**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ანდრეა ბარძალი, პაულო დიბალა, მარკო პიაცა

პესკარა: ***ტრავმ***-ანდრეა კოდა, ნორბერტ გიომბერი

**სამპდორია-სასუოლო**

სამპდორია: ***ტრავმ***-ემილიანო ვივიანო, დანიელ პავლოვიჩი

სასუოლო: ***ტრავმ***-მატეო პოლიტანო, ალფრედ დუნკანი, დომენიკო ბერარდი; ***დისკვ***-დავიდე ბიონდინი

**ემპოლი-ფიორენტინა**

ემპოლი: ***ტრავმ***-მარკო ძამბელი, ვინსენტ ლორინი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

**ატალანტა-რომა**

ატალანტა: ***ტრავმ***-ბაქარი დრამე, აბდულაიე კონკო; ***დისკვ***-ანდრეა კონტი

რომა: ***ტრავმ***-ლეანდრო პარედესი, ალესანდრო ფლორენცი, ტომას ვერმალენი

**ბოლონია-პალერმო**

ბოლონია: ***ტრავმ***-ფილიპ ჰელანდერი, ფედერიკო დი ფრანჩესკო, სადიქ უმარი, სიმონე ვერდი

პალერმო: ***ტრავმ***-სლობოდან რაიკოვიჩი, ჯანკარლო გონსალესი, აკურსიო ბენტივენია, ალექსანდერ ტრაიკოვსკი

**ლაციო-ჯენოა**

ლაციო: ***ტრავმ***-სტეფან დე ვრეი, ჯორდან ლუკაკუ

ჯენოა: ***ტრავმ***-არავინ

**კროტონე-ტორინო**

კროტონე: ***ტრავმ***-არავინ

ტორინო: ***ტრავმ***-ჯუზეპე ვივესი, კრისტიან მოლინარო

**მილანი-ინტერი**

მილანი: ***ტრავმ***-რიკარდო მონტოლივო

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 12 | 10 | 0 | 2 | 25-9 | 30 |
| 2.რომა | 12 | 8 | 2 | 2 | 29-12 | 26 |
| 3.მილანი | 12 | 8 | 1 | 3 | 19-15 | 25 |
| 4.ლაციო | 12 | 6 | 4 | 2 | 23-13 | 22 |
| 5.ატალანტა | 12 | 7 | 1 | 4 | 19-13 | 22 |
| 6.ნაპოლი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-13 | 21 |
| 7.ტორინო | 12 | 5 | 4 | 3 | 27-16 | 19 |
| 8.ფიორენტინა | 11 | 4 | 5 | 2 | 14-11 | 17 |
| 9.ინტერი | 12 | 5 | 2 | 5 | 16-14 | 17 |
| 10.ჯენოა | 11 | 4 | 4 | 3 | 13-11 | 16 |
| 11.კალიარი | 12 | 5 | 1 | 6 | 20-29 | 16 |
| 12.კიევო | 12 | 4 | 3 | 5 | 12-14 | 15 |
| 13.უდინეზე | 12 | 4 | 3 | 5 | 16-19 | 15 |
| 14.სამპდორია | 12 | 4 | 3 | 5 | 13-17 | 15 |
| 15.ბოლონია | 12 | 3 | 4 | 5 | 11-18 | 13 |
| 16.სასუოლო | 12 | 4 | 1 | 7 | 14-22 | 13 |
| 17.ემპოლი | 12 | 2 | 4 | 6 | 6-13 | 10 |
| 18.პესკარა | 12 | 1 | 4 | 7 | 9-20 | 7 |
| 19.პალერმო | 12 | 1 | 3 | 8 | 9-23 | 6 |
| 20.კროტონე | 12 | 1 | 2 | 9 | 10-24 | 5 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.11 პსჟ-ნანტი | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 19.11 რენი-ანჟე | 2.15 | 2.9 | 4.0 |
| 19.11 ნანსი-დიჟონი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 19.11 ბასტია-მონპელიე | 2.75 | 3.0 | 2.75 |
| 19.11 ტულუზა-მეცი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 20.11 გენგამი-ბორდო | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 20.11 მარსელი-კაენი | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 20.11 სტ.ეტიენი-ნიცა | 2.15 | 3.25 | 3.5 |

**პსჟ-ნანტი**

პსჟ: ***ტრავმ***-ალფონს არეოლა, ლაივინ კურზავა

ნანტი: ***ტრავმ***-ანტუან ვალონვა; ***დისკვ***-ამინე ჰარიტი, ემილიანო სალა, ენოკ კვატენგი

**რენი-ანჟე**

რენი: ***ტრავმ***-სანინ პრჩიჩი, ედსონ მექსე, ემირ ლენიანი, კლემენტ ჩანტომე

ანჟე: ***ტრავმ***-დენის პეტრიჩი, ბილი კეტკეოპომპონე

**ნანსი-დიჟონი**

ნანსი: ***ტრავმ***-ალუ დიარა, მოდუ დიანე

დიჟონი: ***ტრავმ***-ფლორიან ბალმო, ვინსენტ რუფლი, არნოლდ ბოკა

**ბასტია-მონპელიე**

ბასტია: ***ტრავმ***-ალექსანდერ ჯიკუ; ***დისკვ***-ჟან-ლუი ლეკა, იანიკ კაუზაკი

მონპელიე: ***ტრავმ***-იაკუბა სილავილიამ რემი, კაზიმირ ნინგა, დანიელ კონრე

**ტულუზა-მეცი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯესი პი, კლემენტ მიჩელინი; ***დისკვ***-ჯიმი დურმაზი

მეცი: ***ტრავმ***-ფლორიან მოლე; ***დისკვ***-რენო ჩოადე

**გენგამი-ბორდო**

გენგამი: ***ტრავმ***-მუსტაფა დიალო

ბორდო: ***ტრავმ***-სედრიკ კარასო, ტომას ტურე; ***დისკვ***-ნიკოლას პალიოსი

**მარსელი-კაენი**

მარსელი: ***ტრავმ***-ტომას ჰუბოჩანი, აარონ ისეკა, ბაფეტიმბი გომისი, აბუ დიაბი; ***დისკვ***-ლასანა დიარა

კაენი: ***ტრავმ***-ჟულიენ ფერე, სიამ ბენ იუსუფი, მოჰამადუ დაბო

**სტ.ეტიენი-ნიცა**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ფლორენტინ პოგბა, პიერ პოლომატი, რობერტ ბერიჩი, რომან ჰამუმა

ნიცა: ***ტრავმ***-დალბერტ ენრიკე, პოლ ბაისე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 12 | 9 | 2 | 1 | 24-9 | 29 |
| 2.მონაკო | 12 | 8 | 2 | 2 | 36-15 | 26 |
| 3.პსჟ | 12 | 8 | 2 | 2 | 24-7 | 26 |
| 4.გენგამი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-12 | 21 |
| 5.რენი | 12 | 6 | 2 | 4 | 13-16 | 20 |
| 6.ტულუზა | 12 | 5 | 4 | 3 | 16-10 | 19 |
| 7.ლიონი | 12 | 6 | 1 | 5 | 20-16 | 19 |
| 8.ბორდო | 12 | 5 | 4 | 3 | 15-13 | 19 |
| 9.სტ.ეტიენი | 12 | 4 | 6 | 2 | 14-10 | 18 |
| 10.ანჟე | 12 | 5 | 2 | 5 | 11-11 | 17 |
| 11.დიჟონი | 12 | 3 | 5 | 4 | 16-17 | 14 |
| 12.მარსელი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-13 | 14 |
| 13.მონპელიე | 12 | 3 | 5 | 4 | 19-26 | 14 |
| 14.მეცი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-21 | 14 |
| 15.კაენი | 12 | 4 | 1 | 7 | 10-21 | 13 |
| 16.ნანტი | 12 | 3 | 3 | 6 | 9-16 | 12 |
| 17.ბასტია | 12 | 3 | 2 | 7 | 9-12 | 11 |
| 18.ლილი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-18 | 10 |
| 19.ნანსი | 12 | 2 | 3 | 7 | 7-19 | 9 |
| 20.ლორიანი | 12 | 2 | 1 | 9 | 9-20 | 7 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.



# როგორ შევინარჩუნოთ რეპროდუქციული ჯანმრთელობა?

ეკა ირემაშვილი

რეპროდუქციული ჯანმრთელობა არის ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადებების, ან ფუნქციის მოშლის არქონა. სიტყვა „რეპროდუქცია“ კვლავწარმოებას, გამრავლებას ნიშნავს. რეპროდუქციული ფუნქცია ემსახურება ადამიანის მოდგმის გაგრძელებას და შთამომავლობის შენარჩუნებას.

ამისთვის უმნიშვნელოვანესია რეპროდუქციული ასაკი. ეს არის პერიოდი, როდესაც ადამიანს აქვს განაყოფიერების და გამრავლების უნარი, ანუ როდესაც ქალს და მამაკაცს შეუძლია განახორციელოს შვილოსნობის ფუნქცია. ქალის რეპროდუქციული ასაკია 15-49 წელი, ხოლო მამაკაცის 15 წელი და ზევით.

„ახალი თაობა“ მეან-გინეკოლოგ ია გიორგაძეს ქალთა რეპროდუქციულ ასაკზე და ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე ესაუბრა:

— რეპროდუქციული ასაკი ქალებისთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ეს არის 18-დან 50 წლამდე ასაკი, თუმცა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მოზარდობის ასაკიდან იწყება. მოზარდი გოგონასთვის მნიშვნელოვანია დღის რეჟიმი, კვება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომ კარგად მოემზადოს მომავალში ქალისთვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციისთვის — დედობისთვის. თუ გოგონას ყურადღება თავიდანვე ექცევა, შემდგომი გართულებები მაქსიმალურად იქნება თავიდან აცილებული.

ქალთა რეპროდუქციულ ასაკში მოიაზრება მისი ორსულობა, მშობიარობა, მშობიარობის შემდგომი პერიოდი და ოჯახის დაგეგმვა, ანუ კონტრაცეფცია.

მნიშვნელოვანია, რომ სანამ ქალი გათხოვდება და დაორსულდება, ჩაიტაროს წინასწარი გამოკვლევები სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე, ანთებით პროცესებზე, მოხდეს ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა, ვირუსებზე კვლევა, რომ ეს ფაქტორები არ გახდეს ხელისშემშლელი ორსულობის პერიოდში.

ამაზე კარგი არაფერი არ არსებობს ამქვეყნად. ხშირად ვამბობ, რომ ყველაზე კარგი პროფესია ჩვენ გვაქვს, რადგან შეხება გვაქვს ორ სულთან, ორ ადამიანზე გვაქვს პასუხისმგებლობა და მათ შორის, ადამიანზე, რომელიც ჯერ არ დაბადებულა. მას ვუწევთ მეთვალყურეობას, ვაკვირდებით, როგორ იზრდება და ვითარდება, გული როგორც უცემს, ხელები, ფეხები როგორ ეზრდება, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერი არ არის.

***— როგორია მოსახლეობის კულტურა ექიმებთან სიარულის?***

— მიხარია ის, რომ ვატყობ, ახალგაზრდობას აქვს ინფორმაცია, ზოგს ინტერნეტი დაეხმარა, შეიძლება არასწორადაც ამოიკითხეს, მაგრამ მთავარია, რომ მოდიან. ბევრია ისეთი ახალგაზრდა წყვილი, ვინც ერთად მოდის. ვისურვებდი, რომ უფრო მეტი მოვიდეს. თუმცა პროცენტულად ძირითადად უკვე ორსულები მოდიან ჩვენთან. მაგრამ არიან ისეთი ქალბატონებიც, ვინც გათხოვებამდე მოდიან და ამბობენ, ვაპირებ გათხოვებას, რამე ხომ არ მჭირსო, ექოსკოპიასაც იღებენ და ინფექციებზეც მკურნალობენ.

***— რეპროდუქციულ ასაკში ყველაზე გახშირებული დაავადებები რა არის?***

— ჩვენ ვართ პირველადი ჯანდაცვის რგოლი და გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტად არის ინფექციების შემთხვევები.

***— უშვილობა?***

— უშვილობაც არის, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ მომატებულია. თანამედროვე რეპროდუქტოლოგიისთვის ეს პრობლემას აღარ წარმოადგენს. უშვილო წყვილები ექიმებთან მალევე მოდიან, ადრე უფრო მეტ დროს კარგავდნენ და 7-8 წელი იცდიდნენ.

***— მამები აქტიურობენ?***

— კი, მოყვებიან ხოლმე და ეს ძალიან სასიხარულოა.

***— რას ურჩევთ რეპროდუქციული ასაკის ქალბატონებს?***

— ყოველთვის სჯობს მივიდნენ ექიმთან პრევენციისთვის, ვიდრე დააგვიანონ და შემდეგ მკურნალობა დასჭირდეთ. ყველაზე მთავარია სისტემატური ვიზიტი ექიმთან და ჯანსაღი ცხოვრების წესი. სამწუხაროდ, ბევრია თამბაქოს მომხმარებელი, თითქმის ყოველი მეორე მწეველია. ეს ძალიან ცუდია, რადგან თამბაქო ყველაფერზე მოქმედებს. იციან, რომ ეს ცუდი და უარყოფითია, მაგრამ ხანდახან არის შემთხვევა, რომ ვერ დაანებებინებ თავს, იმდენად არის ადამიანი ნიკოტინზე დამოკიდებული. კარგია, თუკი ორსულობამდე დაანებებენ თავს, ჯანსაღად იკვებებიან, ნაკლებს ინერვიულებენ და მეტს დაიძინებენ.

***— ალკოჰოლი?***

— მადლობა ღმერთს, ქალების შემთხვევაში ეს პრობლემა არ არის. ამ შეკითხვას არც კი ვუსვამთ პაციენტს.

***— გენეტიკური ფაქტორები რა როლს თამაშობს?***

— საქართველოში არის გენეტიკური კვლევის პროგრამა. სამმაგი კვლევის ტესტი ჰქვია. პრენატალური სკრინინგის ჩვენება ასეთია: ქრომოსომული პათოლოგიის არსებობა ერთ-ერთ მშობელთან ან ოჯახის წევრთან, გენური პათოლოგიის არსებობა ერთ-ერთ მშობელთან ან ოჯახის წევრთან, ნაადრევი ბავშვის დაბადება თანდაყოლილი განვითარების მანკით, ანამნეზში მკვდრადშობადობა, ჩვეული აბორტები 3-ზე მეტი, ქალის ასაკი 35 და მეტი წლის, თუ ორსულს აქვს ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, ინფექციების მწვავე ფორმები, ციტომეგალოვირუსის და ტოქსოპლაზმას მწვავე ფორმები, სიფილისი, წითურა, ტერატოგენური მოქმედების ქიმიური აგენტები, ნაყოფის ულტრაბგერითი გამოკვლევით განვითარების მანკის ნიშნის აღმოჩენა, ერთ-ერთი მშობლის ნარკომანია, ერთ-ერთი მშობლის ალკოჰოლიზმი, მაიონიზირებული რადიაცია, ხელოვნური განაყოფიერება, ტერატოგენური მოქმედების მედიკამენტები.

***— კლიმაქტერიული ასაკის ქალებზე რას იტყვით?***

— ასეთ დროს აუცილებელია ექიმთან ვიზიტი და გინეკოლოგის ჩართვა. XXI საუკუნეში სულ სხვა მიდგომებია კლიმაქტერიული ასაკის ქალბატონებთან და უმჯობესია ეს პროცესი გინეკოლოგმა მართოს. მთავარია სპეციალისტი და არა მეზობლის ნათქვამის დაჯერება. სამწუხაროდ, ჩვენს მოსახლეობას უფრო სჯერა მეზობლის და ნათესავის ნათქვამის, ვიდრე ექიმის. ექიმთან რომ მიდის, მაინც თავისას ამბობს, მეზობელმა ასე მითხრაო.



***— ქალებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტრაცეფცია.***

— ნამდვილად, რადგან სულ სხვა ცხოვრებაა XXI საუკუნეში, ამიტომ აუცილებელია თავიდან ავიცილოთ არასასურველი ორსულობები, რისთვისაც ოჯახის დაგეგმვაა საჭირო. ბოლო პერიოდში ქალი გახდა უფრო აქტიური, მუშაობს, სწავლობს და მას ოჯახის დაგეგმვა სჭირდება — როდის და რამდენი შვილი იყოლიოს. ამისთვის საჭიროა ექიმთან ვიზიტი და თანამედროვე კონტრაცეპტივების ინდივიდუალური შერჩევა და არა მეზობლის ნათქვამის დაჯერება.

***— რა ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ კონტრაცეპტიული მეთოდების შერჩევისას მოზარდ ასაკში?***

— არასასურველი ორსულობისგან თავის დაცვის მიზნით ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების შერჩევის პროცესში სხვადასხვა ფაქტორებს ითვალისწინებენ: მეთოდის ეფექტურობა, მაღალი საიმედოობა, უსაფრთხოება, სწრაფი შექცევადობა, კონტრაცეპციის შეწყვეტის შესაძლებლობა ნებისმიერ დროს, არაკონტრაცეპტიული სხვა დადებითი გავლენა ორგანიზმზე, დაცვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და შიდსისაგან.

***— რას ნიშნავს მაღალეფექტური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება?***

— კონტრაცეპცია მაღალეფექტურია, თუ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების ინსტრუქციის ზუსტი დაცვით გამოყენების დროს 98-99% შემთხვევაში ქალი არ ორსულდება.

***— როგორია დღევანდელი ჰორმონალური ჩასახვის საწინააღმდეგო კონტრაცეპტივები?***

— მრავალი მითი არსებობს ჰორმონალური კონტრაცეპტიული მეთოდის „არაეფექტურობის“ ან მასთან დაკავშირებული „საფრთხის“ შესახებ. იცოდით თუ არა, რომ ჰორმონალური კონტრაცეპტივები მედიცინის ისტორიაში ყველაზე მეტად შესწავლილი საშუალებებია? უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მედიცინამ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა, დაიხვეწა და შემუშავდა კონტრაცეპციის მრავალი ახალი, უსაფრთხო და ეფექტური მეთოდი. დღევანდელ დღეს არსებული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები მკვეთრად განსხვავდება 25 წლის წინ გამოყენებული მსგავსი საშუალებებისაგან. კონტრაცეპტიული აბები სხვადასხვა პრობლემებს იწვევდა წარსულში, რაც ჰორმონების მაღალი დოზის შემცველობითა და სინთეტური ანალოგებით იყო განპირობებული. თანამედროვე კონტრაცეპტიული აბები დაბალი დოზით ისეთივე ჰორმონებს შეიცავენ, როგორიც ქალის ორგანიზმში ბუნებრივად გამომუშავდება. ამიტომ ეს ჰორმონები ორგანიზმისთვის უცხო არ არის.

***— როგორ მოქმედებენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები?***

— კონტრაცეპტიულ მეთოდებს ახასიათებს კონტრაცეპტიული მოქმედების სხვადასხვა მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება ორსულობისგან თავდაცვა. ფერხდება სპერმატოზოიდის შეღწევა საშვილოსნოში, მცირდება სპერმატოზოიდის მოძრაობის უნარი ზედა სასქესო გზებში ანუ საშვილოსნოს მილებში, ხდება საშოს ლორწოს გასქელება, არ ხდება სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის შერწყმა, არ ხდება კვერცხუჯრედის მომწიფება, ითრგუნება ოვულაცია, ხდება სპერმატოტოქსიური ანუ დამაზიანებელი მოქმედება სპერმატოზოიდზე, იცვლება საშვილოსნოს შიდა ამომფენი გარსის სტრუქტურა, რის გამოც ვერ ხერხდება კვერცხუჯრედის მიმაგრება.

***— იწვევს თუ არა ჰორმონალური ჩასახვის საწინააღმდეგო აბები წონაში მატებას?***

— ჩატარებული კვლევების მიხედვით, ჰორმონალური აბების გამოყენების ფონზე ქალების უმრავლესობა წონაში არ იმატებს. შესაძლებელია, რომ ქალის სხეულის წონის ცვლილება მისი ცხოვრების წესით იყოს განპირობებული. ამიტომაც, ჯანსაღი კვება და რეგულარული ვარჯიში ხელს შეუწყობს სხეულის წონის შენარჩუნებას. ხშირად კითხულობენ, იწვევს თუ არა ჰორმონალური აბები სახეზე გამონაყარს და ჭარბთმიანობას? რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ზოგიერთი ჩასახვის საწინააღმდეგო აბები გამოიყენება ჭარბთმიანობისა და სახეზე გამონაყარის აკნეს სამკურნალოდაც კი. ჰორმონალური აბები არ იწვევს არც უნაყოფობას. აბების მიღების ხანგრძლივობაც ასევე არ ახდენს უარყოფით გავლენას მომავალში დაორსულების შესაძლებლობაზე.

***— მავნებელია თუ არა ჰორმონალური აბების მიღება?***

— მავნებელი არ არის იმ შემთხვევაში, თუ მეთოდი სწორად არის შერჩეული კვალიფიციურ ექიმთან ერთად. უფრო მეტიც, ჰორმონალურ აბებს ჩასახვის საწინააღმდეგო მოქმედების გარდა, ახასიათებთ ერთგვარი სამკურნალო, არაკონტრაცეპტიული ეფექტები და დადებითი გავლენა ქალის ორგანიზმზე. კერძოდ, მათი მიღების შედეგად მცირდება მენსტრუალური ტკივილები და მენსტრუალური სისხლდენა, მცირდება ანემიის განვითარების რისკი, მცირდება საკვერცხეებისა და საშვილოსნო კიბოს განვითარების რისკი, მცირდება საკვერცხეების ფუნქციური კისტების განვითარების რისკი.

## სპორტი



# ანდრეი შევჩენკო: „არანაირი პოლიტიკა, ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები“

ანდრეი შევჩენკოს წარდგენა არ სჭირდება — უკრაინელ შემტევს მსოფლიოში სახელი აქვს დაგდებული. ახლა ის კარიერას მწვრთნელის ამპლუაში იწყებს და საკმაოდ წარმატებულადაც. მისი ხელმძღვანელობით უკრაინის ნაკრებმა ბოლო 2 მატჩი ფინეთსა და სერბეთს მოუგო. აქედან ერთი — 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

საერთოდ კი, შესარჩევ ჯგუფში უკრაინის ნაკრებმა 4 მატჩიდან 2 მოიგო, ამდენივე ფრედ დაასრულა და მხოლოდ ხორვატიას ჩამორჩება.

ვნახოთ, რა მწვრთნელი გამოვა შევჩენკოსგან, რომელიც 40 წლის არის, მანამდე კი ინტერვიუ, რომელიც უფრო სახასიათოა.

***— ჩვენში არსებობს მითი, რომ 40 წლის იუბილეს არ აღნიშნავენ. ლონდონშიც ასეა?***

— არ აქვს მნიშვნელობა, ლონდონია თუ კიევი, ეს მაინც დაბადების დღეა. თუმცა გამიგია, რომ ასეთი ტრადიცია თუ ცრურწმენა ნამდვილად არსებობს. მე იუბილე ოჯახურ წრეში აღვნიშნე და ძალიანაც კმაყოფილი ვარ. საერთოდ, ცოლ-შვილის დაბადების დღეებსაც მხოლოდ ახლობლები აღვნიშნავთ ხოლმე. თუმცა გასულ წელს არ გამოგვივიდა თავშეყრა, რადგან სასწრაფოდ მომიწია საქმეზე წასვლა.

***— 2009 წელს, როცა 33 წლის გახდით, ლონდონში თითქმის მთელი მილანი დაპატიჟეთ, ადრიანო გალიანის ჩათვლით. რა თქმა უნდა, რომან აბრამოვიჩიც იქ იყო.***

— დიახ. მეგობრებმა ყველა საქმე გადადეს და ჩემთან ჩამოვიდნენ. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი, ყველაზე დასამახსოვრებელი დღე.

***— რა გაჩუქათ აბრამოვიჩმა?***

— ისეთი საჩუქრების მიმართ, რასაც თქვენ გულისხმობთ, გულგრილი ვარ. ჩემთვის მთავარია ადამიანური ყურადღება. ჩვენთან არ იყო მიღებული რაიმე ძვირფასის ჩუქება და ეს აბრამოვიჩმაც იცოდა. მაგრამ საჩუქრები იყო ორიგინალური და სამახსოვრო მაშინ, როცა მნიშვნელოვან თამაშებს ვიგებდით. როცა ვინმესთან დაბადების დღეზე მივდივარ, დიდხანს ვიმტვრევ ხოლმე თავს იმაზე ფიქრით, თუ რა უნდა ვაჩუქო იუბილარს.

***— ბავშვობაში თუ უჩუქებიათ თქვენთვის რაიმე ისეთი, რაც დღემდე გახსოვთ?***

— ბურთი! კიდევ ბუცები, რომელიც ერთ დღეს მამამ მაჩუქა. იმ დროისთვის ეს საკმაოდ ძვირი ღირდა. მახსოვს, როგორი ბედნიერი ვიყავი მაშინ...

***— ბავშვობა ვახსენეთ და რა ინტერესები აქვთ თქვენს შვილებს (შევჩენკოს 4 ვაჟი ჰყავს)?***

— ჯორდანს სხვადასხვა ინტერესი აქვს — უყვარს გეოგრაფია, ისტორია, უსმენს მუსიკას, უყურებს ფილმებს, ბევრს კითხულობს... კრისტიანის შემთხვევაში უფრო მარტივადაა საქმე — დასდევს ბურთს, დადის ჩოგბურთზე... რაღაცნაირად ჩემს ბავშვობას მაგონებს. ალექსანდრე და რაიდერი კი ბევრად პატარები არიან და იცით, ამ ასაკში რითიც ერთობიან ბავშვები...

***— ბებია უფრო ხშირად სტუმრობს შვილიშვილებს თუ პირიქით?***

— შვილიშვილები უფრო ხშირად მიდიან ბებიასთან. ბავშვები ლონდონში სწავლობენ, ბებია კიევშია.

***— თქვენი უფროსი შვილები არაერთხელ ყოფილან უკრაინაში, პატარები?***

— პატარები ჯერ არა. ახლა ისეთი დაძაბული ცხოვრების რიტმი გვაქვს, როგორლაც უნდა გავიაროთ ეს პერიოდი. ჯერჯერობით პატარებს გაცილებით მეტი ყურადღება სჭირდებათ. დღესდღეობით უკრაინის ნაკრებში ვმუშაობ და ეს საქმე ბევრ დროს ითხოვს, დავდივარ თამაშებზე, იქ კიდევ სელექცია, მერე თათბირები... მაგრამ ერთ დღესაც კიევში ყველანი ერთად ჩამოვალთ.

***— ბევრს უკვირს, რატომ დაარქვით შვილებს ასეთი სახელები.***

— უბრალოდ, მოგვწონს. ისე, სიმართლე გითხრათ, ამ საქმეში ნაკლებად ვერეოდი — არჩევანის თავისუფლება მეუღლეს დავუთმე (ანდრეის მეუღლე ამერიკელი მოდელი კრისტენ პაზეკია).

***— ალბათ, ზედმეტია კითხვა, თუ რომელ გუნდს გულშემატკივრობენ თქვენი შვილები.***

— მამიკოს გუნდს. ეს ნამდვილად ვიცი.

***— კიევში როცა ხართ, რესტორნებში სადილობთ ან ვახშმობთ?***

— დედაც გემრიელ კერძებს ამზადებს, დაც.

***— ანდრეი შევჩენკოს საყვარელი კერძი.***

— ბორში! ვერსად ვერ შეჭამთ ისეთ ბორშჩს, როგორსაც უკრაინაში. პრინციპში, ამ მხრივ მე მრავალფეროვნებას ვანიჭებ უპირატესობას. ძალიან მიყვარს იაპონური სამზარეულოც, რომ აღარაფერი ვთქვა იტალიურზე.

***— რამდენად ხშირად თამაშობთ დღეს ფეხბურთს?***

— საერთოდ, სპორტული ადამიანი ვარ. იტალიაში შევეჩვიე ცხოვრების ასეთ სტილს, ვგულისხმობ ყოველდღიურ ყოფას. ხან დავრბივარ, ხან დარბაზში ვარ, მაგრამ აუცილებლად ვვარჯიშობ ბურთითაც. თუმცა, მთავარი პრობლემაა დრო, რომელიც კატასტროფულად ცოტა მაქვს.

***— მართალია თუ არა, რომ როცა კიევის დინამოს ჭაბუკთა გუნდთან ერთად მილანის სან სიროზე ითამაშეთ, წამოსვლისას მონეტა გადააგდეთ, რათა იქ კიდევ დაბრუნებულიყავით?***

— ზუსტად გცოდნიათ. ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. გავიდა დრო და მართლაც დავბრუნდი მილანში, სადაც უამრავი დასამახსოვრებელი წუთი გადავიტანე.

***— ფეხბურთელობისას, უფრო ახალგაზრდულ ასაკში, მართლა ეწეოდით სიგარეტს?***

— ვაბოლებდი ხოლმე, მაგრამ, როგორც კი პროფესიონალი გავხდი, სიგარეტისკენ აღარც გამიხედავს.

***— თქვენმა ყოფილმა თანაგუნდელმა დიდიე დროგბამ ერთხელ ინტერვიუში თქვა, რომ რუს დმიტრი სიჩოვს მისთვის ლონდონში ხიზილალა ჩაჰქონდა. თქვენ რით ანებივრებდით თანაგუნდელებს? თავად ისინი არაფერს გთხოვდნენ?***

— სალას! ეს ეპოქალური ისტორიაა. მახსოვს, როცა ნამდვილი უკრაინული სალა პირველად მივიტანე მილანის ბაზაზე, პურზე თხელი ნაჭერი დავადე და პაოლო მალდინის შევთავაზე, მაგრამ ცივი უარი მითხრა. მერე მე დავიწყე ჭამა და უნდა გენახათ, როგორი განცვიფრებული მომჩერებოდა პაოლო სხვა თანაგუნდელებთან ერთად. მაგრამ მერე რა მოხდა, იცით? მილანში ნახევარი ჩანთა სალათი ჩავდიოდი.

***— რამდენი ენა იცით?***

— უკრაინულისა და რუსულის გარდა, ინგლისური და იტალიური.

***— ანდრეი შევჩენკოს პოლიტიკა აღარ აინტერესებს?***

— არანაირად! მაგრამ ესეც ერთგვარი გამოცდილება იყო, რომელიც დამეხმარა, სხვა თვალით შემეხედა ცხოვრებისთვის. ახლა პოლიტიკის გარეშე ვარ და ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 21 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "ფრანკლინი და ბეში" 07.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 08.00 ან/ფ "მხიარული ფერმა" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ტრიუმფი" 12.20 მხ/ფ "სადღაც დროში" 15.00, 02.30 "x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00, 03.30 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "შურისძიება" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ. "ამერიკელები" 00.00 მხ/ფ "ოთხ ივლისს დაბადებული" (ტ.კრუზი)

08.00 დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" 09.00 დ/ფ "ვისკის საიდუმლო" 10.00 მხ/ფ "ბიჭი კალიფორნიიდან" 12.00 ტ/სერ. "გულის მუსიკა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 15.00, 18.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00, 01.00 ტ/სერ. "ლოს ანჯელესის პოლიცია" 23.00 "ნამდვილი დრო"

